ბასა ჯანიკაშვილი

„გონების თამაშები“

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი. 25 წლის

გოჩა მელია - მსახიობი. 40-45 წლის

გია სალაძე - რეჟისორი. 50-55 წლის

ალბერტ სულაძე - ანის მამა, „აკრობატების თეატრის“ მსახიობი

ჯანგო სულაძე - ანის დედა, „აკრობატების თეატრის“ მსახიობი

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი / მწერლის წარმოდგენაში მისი ცოლი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

პიესის მთავარი პერსონაჟი მალხაზო ქუმსალიაა, რომელიც პიესას წერს. „გონების თამაშებში“ ყველა პერსონაჟი, გარდა მწერალ მალხაზო ქუმსალიასი მწერლის პერსონაჟები არიან.

პირველი სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ჯანგო სულაძე - ანის დედა

ყველაფერი მზადაა სპექტაკლის დასაწყებად. დარბაზში შუქი ქრება. განათებულია მხოლოდ ეულად მდგარი საწერი მაგიდა, რომელზეც ლამფა ანთია. მაგიდაზე დევს ფურცელი და კალამი. კალამი თავისით იწყებს წერას. ისე, რომ მას არავინ ეხმარება. უფრო სწორედ, კალამი ფურცელზე დარბის და სიტყვები გამოჰყავს.

სპექტაკლის დაწყებას მაყურებელი სულგანაბული ელოდება. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ზოგი მობილურს ხმას უთიშავს, ზოგი დარბაზში ახლახან შემოვიდა და თავის ადგილს ეძებს. მოულოდნელად, მაყურებლების რიგებიდან ვიღაც ხმამაღლა მონოლოგს იწყებს. ეს „ვიღაც“ მალხაზო ქუმსალიას პიესის მთავარი გმირია, მხოლოდ ჯერ ეს მაყურებელმა არ იცის.

ანი სულაძე - მსახიობი

(ზის). მესიზმრა, ვითომ ჩემი ოცნების როლს ვასრულებდი! (დგება). ვთამაშობდი ოფელიას, და მერე როგორ?! სცენაზე ვიდექი, ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის, ჯერ კიდევ დაუფასებელი, ღირსეული, ამაყი ქვეყნის შვილი, რომელიც ევროკავშირის საზღვრებს თავმომწონედ ლახავს და მიაჩნია, რომ ეს ასეც უნდა იყოს! მესიზმრა, რომ პირველი ევროპელები სწორედ ჩვენ ვიყავით და მხოლოდ ჩვენი შესვლის შემდეგ დაემსგავსება ევროპა ევროპას. დიახ, დიახ, ჩვენ, ამაყი ქვეყნის შვილები ვიყავით... უკაცრავად. (ჯდება).

(სცენაზე კალამი თავისთვის წერას განაგრძობს).

ანი სულაძე - მსახიობი

(დგება). მესიზმრა, ვითომ ვთამაშობდი ყველაზე უიღბლო ევროპელის როლს. დანიელი პრინცის შეყვარებულის როლს. ჩემს საოცნებო როლს... და ვიყავი საოცრად გახარებული, რომ განგებამ ყველაზე უიღბლო ქალის როლის თამაში მარგუნა. სიმართლე რომ ითქვას, ოფელია ბევრისთვის საოცნებო როლია და ჩემთვისაც, მათ შორის! მსახიობს მეტი რა უნდა? ოფელია უხსენე და მზად არის, თუნდაც ახლავე სცენაზე აღმოჩნდეს. ვიდექი სავსე დარბაზის წინ. დარბაზში, სადაც ისხდნენ ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ადამიანები. *(ჩამოთვლის დარბაზში მსხდომ ცნობილ და ნაკლებად ცნობილ მაყურებელს)*. და ეს ხალხი, ყოველ ჩემ გამოსვლას აპლოდისმენტებით ხვდებოდა და ვიყავი საოცრად დამაჯერებელი, ლამაზი, თავმომწონე, ელეგანტური... არაჩვეულებრივი მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხით, სიღრმისეული ანალიზით, ფსიქოლოგიური ტიპაჟის სწორად გადმოცემით და ემოციური მუხტის კონტროლით. ბოდიში... არ მინდოდა... (ჯდება).

(სცენაზე შემოდის მწერალი მალხაზო ქუმსალია. მაგიდას მიუჯდება. უყურებს კალამს, რომელიც ფურცელზე სიტყვებს თავისით წერს).

ანი სულაძე - მსახიობი

არა და, მეძინა და მქონდა საოცარი აურა, მომნუსხველი, ყოვლისმომცველი და მაშინაც კი, როდესაც სცენიდან გავდიოდი, მაყურებელი ჩემს შემოსვლას ითხოვდა. (დგება, პარტერიდან იწყებს გამოსვლას). დიახ, დიახ, ასე ყვიროდნენ, ანი სულაძე, დაბრუნდი, ჩვენ შენს გამო მოვედით... ანი სულაძე... ანი... შენ საუკეთესო ოფელია ხარ და მერე იწყებოდა ტაში, რიტმული, ხმაურიანი, ყოვლისმომცველი ა-ნი, ა-ნი, ა-ნი! ბიის, ბიის... (წარმოსახვითი ტაშის იმიტაციას ასრულებს). თითქოს შემეძლო გადამეფრინა მთელს ევროპაზე, ნახვამდის თბილისო, მოგესალმებით კოპენჰაგენო, ჟენევა, ლონდონო, ვენა... (სხვა ინტონაციით. ოფელიას როლში გარდაისახა). „...ოჰ, რა დიდებულს ჭკვა-გონებას ეწია ბნელი! სასახლის თვალსა, ენამჭევრსა, ვაჟკაცობით სრულს, იმედსა და ვარდსა ამ მშვენიერ სახელმწიფოსას, სამაგალითოს ზნეობის და ყოფაქცევისთვის!“

(სცენაზე მწერალი მალხაზო ქუმსალია ფურცელზე მორბენალ კალამს იჭერს, ფურცელს დახედავს, თვალს გადაავლებს, დაკუჭავს და მოისვრის. ახალ ფურცელს იღებს და წერას იწყებს).

ანი სულაძე - მსახიობი

და მიხაროდა, რომ მეძინა და ამავე დროს მწყინდა, რომ სიხარულთან ერთად ვიყავი ასეთი უიღბლო. იცით, მინდა ვიყოთ უიღბლოები, იმიტომ, რომ უიღბლონი იშვიათად თუ ვართ. უიღბლო ადამიანი ჩვენს დროში იშვიათობაა. *(სცენაზე ადის, მწერალი მას ყურადღებას არ აქცევს).* უიღბლო ადამიანი ხალხისგან მეტ პატივისცემას იმსახურებს. უიღბლო ადამიანი უფრო ჩაფიქრებული, უფრო დარდიანი, უფრო დამწუხრებულია, ვიდრე ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე და მაყურებელი. ამიტომ, იშვიათობა გახდა, უიღბლო ადამიანების დანახვა. ყველა დადის მხიარული, მოღიმარი და აღგზნებული. ყველას რაღაც ახარებს. (მწერალს თავზე წამოადგება). აი, უიღბლო ადამიანი, მწერალი მალხაზო ქუმსალია. ის კალმით ხელში სუფთა ფურცელს ებრძვის, მის შევსებას ცდილობს და ცდილობს ისე, რომ ეს სიტყვები, რომელსაც იგონებს - ყველამ წაიკითხოს. წერს და პარალელურად აწმყოზე დარდობს. ან მომავალზე? თუმც, ეს სულ ერთია. უიღბლო ადამიანს რაც არ უნდა აწუხებდეს, მის თვალებს ეს არ ეტყობა. ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ უიღბლობას და თეთრ ფურცელს, რომელიც ნერვების მოშლამდე ერთფეროვანია და მაინც პატივს ვცემთ უიღბლო ხალხს.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მოკვდი!

(მსახიობი ანი სულაძე მკვდარივით ძირს ეცემა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწერალმა ის მოკლა).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

დეტექტივი მინდა, რამე. (ფურცელს დაკუჭავს და მოისვრის. გარდაცვლილ ანი სულაძეს მიმართავს). რას მიყურებ. ადექი აბა, თუ რამე შეგიძლია! შენ მკვდარი ხარ. (თეთრი ფურცელი უჭირავს). აი, ჩემი სამყარო - ეს თეთრი ფურცელი მე მელოდება. რასაც დავწერ, ვიფიქრებ და შევქმნი - ჩემია. (მაყურებელს). თქვენ ფიქრობთ, რომ მე გიჟი ვარ, მაგრამ ასე არ არის. მინდა მელოდრამას დავწერ, მინდა ტრაგედიას, მინდა ფარსს, მინდა კომედიას, მინდა მისტიკას. მე ვქმნი ამ სამყაროს! მე ხომ შემოქმედი ვარ, მე ხომ ღმერთი ვარ, რასაც მინდა იმას ვიზამ. მე ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

(მომდევნო მონოლოგის დროს გამოჩნდება ანი სულაძის მშობლები, „აკრობატების თეატრის“ მსახიობები ალბერტ და ჯანგო სულაძეები).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აი, მსახიობი ანი სულაძე, ის ახალგაზრდაა და ლამაზია. ანის მსახიობობა უნდა. ანის დედაც ჰყავს და მამაც. ისინიც მასავით გიჟები არიან, და იცით რატომ? თავისი პატარა, სამკაციანი „აკრობატების თეატრი“ აქვთ, სადაც ჯამბაზობენ, ოხუნჯობენ, „ფოკუსნიკობენ“ და პატარა ჭიას ახარებენ. ესეც მე მოვიფიქრე. აიღებს მაგალითად მამამისი ჩაქუჩს, დიდ უზარმაზარ ჩაქუჩს და გადაყლაპავს. ხალხი დადის წარმოდგენებზე, იცინის, უკვირს, ტაშს უკრავს. ანიმ მშობლების დაწყებული საქმე უნდა გააგრძელოს. მაგრამ ანის დიდ სცენაზე უნდა თამაში და რა თქმა უნდა, მშობლები წინააღმდეგი არიან. ეშინიათ, რომ შვილი არ დაკარგონ. ნამდვილ თეატრს თუ გემო გაუგო, მაშინ ის უკან დამბრუნებელი არ არისო - ასე ამბობენ.

(სცენაზე კვლავ მწერალი და გარდაცვლილი მსახიობი ანი სულაძე რჩებიან).

მაგრამ, მარტო ახალგაზრდა მსახიობის მოკვლით ვერავის გააკვირვებ. რაღაც ისეთ მინდა, სულ რომ აირიოს სამყარო. თავდაყირა დადგეს... დეტექტივი მინდა.

მეორე სურათი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ანი სულაძე - მსახიობი

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი / მწერლის წარმოდგენაში მისი ცოლი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მწერალ მალხაზო ქუმსალიას სამუშაო ოთახი. მწერალი მაგიდასთან ზის და წერს.

სცენაზე ორი დეტექტივი შემოდის და მსახიობ ანი სულაძეს გვამთან მიდის. ისე იქცევიან, როგორც ადამიანები, ვისაც მკვლელობის გახსნა დაავალეს.

კრიმინალისტი ბისმარკ კაპანაძე აქ და მომდევნო სცენის განმავლობაში ფოტოსურათებს იღებს. ხშირად მისი ფოტო სესია დეტექტივ თენგულა ასათიანის ყურადღებას იქცევს, რადგან გარდა იმისა, რომ მკვლელობის ადგილია გადასაღები, კრიმინალისტი მხატვრული ფოტოების დადგმასაც არ თაკილობს. მაგ: გარდაცვლილთან ელექტრო ჩაიდანს დებს, ან ფონად ყვავილებს დაუყრის და ა.შ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით წელს გარდაცვლილთა სამოცდასამი პროცენტი ქალია, მათ შორის, ოცდაერთი პროცენტი ოცდაათ წლამდე, ორმოცდაშვიდი პროცენტი ორმოცდაათ წლამდე, დანარჩენი კი, ორმოცდაათს ზემოთ ასაკისაა. (ფოტოს უღებს).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(თავისთვის). მოკლულია.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ხელწერა არ გაგონებს არაფერს?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

იმას კიდურები ჰქონდა მოჭრილი... ამას კიდევ... (ყურადღებით აკვირდება). მხოლოდ გული აქვს ამოჭრილი...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ოთახს ათვალიერებს). ვის რად უნდა მკვდარი ქალის გული?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(მსახიობს ხელს წამოუწევს და მაჯაზე საათს დახედავს). რვა საათი და ჩვიდმეტი წუთი. (ბლოკნოტში იწერს).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მკვლელობის დროს საათი ყოველთვის ჩერდება ხოლმე.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(მკვდარ მსახიობს აკვირდება). სისხლი? სისხლი ხომ უნდა იყოს დაღვრილი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ჩხუბის კვალი არ ჩანს. სკამები ადგილზეა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(მკვდარ მსახიობს აკვირდება). იქნებ, სხვაგან მოკლეს და გვამი შემდეგ მოიტანეს?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ფარდები დახურულია.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ეტყობა, ჯერ სისხლი გამოსწოვა, დაცალა სისხლისგან...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(გარდაცვლილს ფოტოს უღებს). გამოფენის გაკეთება მინდა. პერსონალური გამოფენა. ბისმარკ კაპანაძე, „ხელოვნება კრიმინალია“. ასეთი სათაურით, სკანდალური. ან პირიქით: „კრიმინალური ხელოვნება“.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(გარდაცვლილ მსახიობს თვალს არ აცილებს). რა თქვი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

აბა, ისე გულს როგორ ამოჭრი ადამიანს?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(გვამთან რჩება). ფული ადგილზეა. (ჯიბიდან საფულეს ამოიღებს, ხსნის, საბუთს აკვირდება). ანი სულაძე. მეცნობა ძალიან. (საფულიდან ფულს ამოიღებს). ქურდობა გამოვრიცხოთ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მსახიობია, სერიალებში თამაშობს ხოლმე.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ანი სულაძე... (მკვდარ მსახიობს მიმართავს). რა მოხდა ანი, ვინ გაგიკეთა ასეთი რამე... არ მეტყვი? (ბლოკნოტში ინიშნავს).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ფულის დასტას ფოტოს უღებს). ასიანების შეკვრაა. ათი ათასია. თავს დავდებ.

(გამომძიებელი მსახიობის ჯიბიდან გასაღებს იღებს. აკვირდება).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ტოიოტა. რავ ოთხი. ორიათას ცხრამეტიანი. ჰიბრიდი. ორი და „ნოლი“ მოტორი. გარბენი სამოცი ათასამდე.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

დააკვირდი? ტელევიზორში ვინც ჩანს, არც ერთი არ უყურებს ტელევიზორს. მოდაა ეგეთი, თუ რა არის?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(მკვდარ მსახიობს მიმართავს). იქნებ და ვინმეს გული ატკინე და შური იძია?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სახლში დაბრუნდა რვის ნახევრიდან - რვამდე. ისაუზმა... ორცხობილა... აჰ... კომპიუტერიც აქ არის. (კომპიუტერს ხსნის).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(გარდაცვლილი მსახიობის ჯიბიდან მობილურს ამოიღებს). როგორც ყველა ლამაზი ქალის მობილური ტელეფონის ეკრანი, ამასაც გატეხილი აქვს.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(კომპიუტერთან ზის). პაროლი ადევს. ექსპერტიზაზე უნდა გადავაგზავნოთ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გული მიგრძნობს, რომ გული პროფესიონალმა ამოჭრა...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(იმიტაციას აკეთებს). კარი გააღო, ფეხზეც არ გამოუცვლია... ასე შემოვიდა... გასაღები დადო... თუმცა მანქანის გასაღები ჯიბეში დარჩა. ლაბადა გაიხადა... აბაზანაში შევიდა... მოფსა... ხელები დაიბანა... (აბაზანაში შედის).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ხარ ასე, შენთვის და ვიღაც გარეწარი გულს ამოგაჭრის... სად უნდა წაეღო გული? რისთვის დასჭირდა?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(სცენაზე ბრუნდება). მხოლოდ ქალის შამპუნები და „კრემებია“. თმის საშრობი, პირსახოცები... გამოვიდა, ღვინის ბოთლი გახსნა, ერთ ჭიქაში დაასხა... ამასობაში ორცხობილა გამოიღო...

გამომძიებელი

ვინ სვამს ღვინოს ორცხობილათი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

„ჩუსტებიც“ არ ჩაუცვამს. ესე იგი, ვიღაცას ელოდა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

რა ლამაზია...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ისაუზმა... ან აპირებდა... მარტო ცხოვრობს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

იქნებ, ახალი გადმოსულია?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მანიაკის ხელი ურევია. მაგათი სიები ჰო გვაქვს? რა ბრძანეთ? ქირაობსო? (ტანსაცმლის კარადასთან მიდის, გამოაღებს).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გათხოვილი არ არის. (მკვდარი მსახიობის თითებს აკვირდება). საყვარელმა მოკლა და გული ამოაჭრა?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სად იშოვი ჩვენს დროში ასეთ საყვარლებს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ასეთ გოგოსთან ცოლს რომ ღალატობდე, რას იტყვის შენი ცოლი? რას მიყურებ?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მოტყუებული ცოლების კლუბი!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(მოკლული მსახიობის ტელეფონის ეკრანს აკვირდება). ბოლო შემომავალი ზარი შვიდ საათზე და ოცდახუთ წუთზე იყო. ზარს უპასუხა, ესე იგი, ცოცხალი იყო. არ გაინტერესებს, ვინ დაურეკა?

(მოკლული მსახიობის ტელეფონით რეკავს. ხმამაღალ რეჟიმში ჩართული ტელეფონიდან ზარის გასვლის სიგნალი ისმის. იმავე წამს, დარბაზში ტელეფონის ზარის ხმა ისმის. ეს ხმა მაყურებელთა რიგებიდანაა. ბისმარკ კაპანაძე და თენგულა ასათიანი ავანსცენაზე გამოდიან. დარბაზში მსხდომ მაყურებელს აკვირდებიან. დარბაზში განათება ირთვება. ტელეფონის ზარი არ წყდება).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

შენ ფიქრობ, რომ... (დარბაზს ფოტოს უღებს).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

„ჯერ არასდროს არ შობილა, მთვარე ასე წყნარი“...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ჩვენს პროფესიაში ფაქტები არაფერს ნიშნავს... აღქმაა მთავარი...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ინტუიცია მკარნახობს, რომ ის, ვისი ტელეფონიც ახლა რეკავს, გარდაცვლილს იცნობდა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

თუ აღქმა არ ემთხვევა ფაქტს, მით უარესი ფაქტისთვის.

გამომძიებელი

ნუ ვიჩქარებთ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, საქმის გახსნის ოთხმოცი პროცენტი დანაშაულის ჩადენიდან ოცდაოთხ საათში ხდება.

(დარბაზში ჩადიან. იმ მიმართულებით მიდიან, საიდანაც ტელეფონის ზარის ხმა ისმის).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

მაგრამ, აქ საქმე გვაქვს მანიაკთან.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ან ექიმთან. თქვენ არ თქვით, პროფესიონალი მუშაობდაო?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ან ეჭვიან ცოლთან.

(გამომძიებელი და კრიმინალისტი დარბაზში მჯდომ ქალს უახლოვდებიან. თავზე წამოადგებიან ქალბატონს, ვისი ტელეფონიც რეკავს. ეჭვის თვალით უყურებენ).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

რას ვამბობდი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ექიმს არ ჰგავს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

არც მანიაკს.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მით უმეტეს, მოტყუებულ ქმარს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ხელები სუფთა აქვს. თითები ნაზი და მოვლილი. ფრჩხილებს შორის სისხლის კვალი არ ჩანს. რაც მთავარია - გათხოვილია.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, გათხოვილი ქალების ორმოცდაათ პროცენტზე მეტს მკვლელობისკენ აქვს მიდრეკილება.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ასეთები ენით უფრო მოკლავენ, ვიდრე ლანცეტით.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, ქალის მიერ მოკლული ქალების ოცდასამი პროცენტი სინამდვილეში მოწამლულია. დანარჩენი სამოცდაჩვიდმეტი პროცენტი ბასრი საგნითაა მოკლული.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(სკამზე მჯდომ ქალბატონს). ტელეფონს რატომ არ იღებთ, ქალბატონო?

(ის, ვისი ტელეფონიც ამდენ ხანს რეკავს სულიკო აბასაშვილია. იგი მწერლის წარმოდგენაში ცოლია).

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

დავიღალე უკვე, თეატრში ვერ წამოვსულვარ! სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე. არ შეიძლება, რომ უბრალოდ თეატრში გამიშვა, ჩემს დაქალებთან ერთად? შენ გეკითხები! (მიმართავს სცენაზე მაგიდასთან მჯდომ მწერალს). შენ გეკითხები. რატომ მიძვრები სულში? (პარტერიდან სცენაზე ადის და მწერალს თავზე წამოადგება).

(მწერალი ახლა შეამჩნევს, რომ მას თავზე გაბრაზებული ქალი წამოადგა).

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ბავშვი არ გააღვიძო.

მესამე სურათი

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ფსიქოლოგის კაბინეტი. სეანსზე მწერალი მალხაზო ქუმსალიაა მისული.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მალხაზ... მე ბავშვს ვერც გავაღვიძებ და ვერც დავაძინებ, მე შენი ცოლი არ ვარ...

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ვიცი... ჩემი ფსიქოლოგი ხართ.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მაშინ, რატომ აღმიქვამდი, როგორც შენს ცოლს?

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

გიფიქრიათ იმაზე, რომ რაღაცები ხდება ჩვენს გარშემო, რომელიც რეალურად არ ხდება, და ჩვენ გვგონია, რომ ხდება, მაგრამ მეორეს მხრივ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არც არაფერი ხდება და ჩვენ გვგონია, რომ ხდება?

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

ხდება, თუ არ ხდება?

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

გამოდის, რომ არსებობს ფაქტი, რომელიც ვიღაცისთვის შემდგარი ფაქტია და ვიღაცისთვის ეს ფაქტი საერთოდ არ მომხდარა. არაფერი მომხდარა.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

ჰეგელს ეკუთვნის არაჩვეულებრივი ფრაზა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ, რომ ჰეგელმა თქვაო: „თუ ფაქტები ეწინააღმდეგება ჩემს თეორიას, მით უარესი ფაქტებისთვის."

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ერთი უცნაურობა შევამჩნიე. რასაც ვწერ, ეს შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ხდება ხოლმე. აღსრულდება, ასე ვთქვათ.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

იმედია, არ გინდა, რომ შენი ცოლი გავხდე.

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ახლა არ მითხრათ, რომ ქვეცნობიერი ლაპარაკობს ჩემში.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

იმედი მაქვს, რომ არა.

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

შევეცდები ავხსნა. აი, მაგალითად თქვენ თეატრში არ ყოფილხართ, მაგრამ ჩემს ნაწერებში თეატრში იყავით...

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

და შენი ცოლიც გავხდი.

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

რომელი უფრო ნამდვილი მოვლენაა, ის, რომ თეატრში იყავით, თუ ის, რომ თეატრში არ ყოფილხართ.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

ფაქტია, რომ თეატრში არ ვყოფილვარ. ნუ მაფიქრებინებ, რომ ამაზე პასუხი არ იცი.

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

რა თქმა უნდა, იყავით, ეს ფაქტია! იმიტომ, რომ თეატრში ყოფნა ფაქტია. თქვენს მობილურზე ზარმა დარეკა და თავზე ორი გამომძიებელი წამოგადგათ. რა უნდოდათ? მე გეტყვით, რა უნდოდათ! თქვენი მობილურიდან გარდაცვლილი მსახიობის ტელეფონზე იყო დარეკილი. იცნობთ ანი სულაძეს?

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მომიყევი, კარგად, ვინ არის ანი სულაძე?

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ანი სულაძე მთავარი პერსონაჟია, რომელსაც მსახიობობა უნდა. მის გარშემო ეწყობა ყველაფერი, მაგრამ რაღაც არ მომწონს. სუსტია. ხასიათი ვერ გამოვძერწე ჯერ. ამიტომაც მოვკალი პირველივე სცენაში.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

ხომ არ იჩქარე?

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ვნახოთ, ჯერჯერობით გამოძიების ხაზს მივყვები.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

და გინდა, რომ მკვლელობა ჩემს თავზე ავიღო?

მწერალი - მალხაზ ქუმსალია

ერთი აბზაცი მინდა წაგიკითხოთ. (ჯიბიდან ფურცლებს იღებს და კითხულობს). „უიღბლობა დაიპყრობს მაყურებელს. პირველ რიგში ინტელექტუალებს, იმიტომ, რომ საზოგადოებას ყველაფერ ახალს და საინტერესოს ისინი სთავაზობენ. ეს ფენა, ეს ადამიანები, ვინც ჩვენი ქვეყნის მომავალს ემსახურებიან, მის კულტურულ სივრცეს ქმნიან და ევროპაში გვიხსნიან კარს, იქნებიან პირველი თაობის უიღბლოები. იმიტომ, რომ ევროპა კულტურაა, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნება...“

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მოდით, დაწერეთ და შემდეგ წავიკითხავ. კარგი?

მეოთხე სურათი

ანი სულაძე - მსახიობი

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში მისი ცოლი

ქალაქის პარკი. სცენაზე მსახიობი ანა სულაძე შემოდის, შენიშნავს მწერლის ცოლს, რომელიც სკამზე ზის. გვერდით მიუჯდება. როლის თამაშს იწყებს.

ანი სულაძე - მსახიობი

„მე საერთოდ, მახასიათებს მოდის განსაზღვრა. უსასრულოდ განვითარებული მაქვს წინათგრძნობა და ვიცი, რომ უიღბლობა ადრე თუ გვიან მოდაში შემოვა. მე არც ცნობილი კუტიურიე და არც გამოჩენილი პრომოუტერი ვარ. ამიტომაც, ობიექტურად მაქვს იმის უფლება ვივარაუდო, რომ გავა ხანი და უიღბლობა მოდური გახდება.“

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

ვიცოდი, რომ რაღაც გამიხარდებოდა. (დგება).

ანი სულაძე - მსახიობი

არ წახვიდეთ. „მე ისიც კი ვიცი, ვინ იქნება პირველი უიღბლო ქართველი ინტელექტუალი, ვინც უიღბლოს როლს მოირგებს და ასე გამოჩნდება სცენაზე. გითხრათ? მეშინია სუბიექტურობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ასე იქნება. მამაკაცს ვხედავ. აუცილებლად! *(ის მწერლის გარეგნობის აღწერას იწყებს)* გრძელი, უკან გადაწეული თმით, ღიპის გარეშე, საშუალოზე მაღალი, მოხდენილი, წელში გამართული, სიმპათიური... ეს მალე მოხდება და მალე მოვა დღეს, შეიძლება ითქვას, ის უკვე მოსულია. უბრალოდ, არავის უნდა შეიმჩნიოს, რომ მალე ახლაა და ახლა წარსულია! ამის დანახვა არავის სურს!!!“

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

მსახიობი ხართ?

ანი სულაძე - მსახიობი

თქვენი ქმრის გაცნობა მინდა და ასე გადავწყვიტე, ასეთი ფორმით გადავწყვიტე მისი გაცნობა. ბოდიშს ვიხდი... დამეხმარებით?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

მინდა გული დაგწყვიტოთ, მაგრამ მე რომ ქმარი არ მყავს?

ანი სულაძე - მსახიობი

როგორ არა, ვიცი, მალხაზო ქუმსალია თქვენი მეუღლეა. ასე შორიდან ვიცნობ, გამარჯობა-გაგიმარჯოთ... მაგრამ, გაცნობაზე მეტად, სათხოვარი მაქვს... იქნებ, გადასცეთ... შანსი მომცეს, შემომხედოს, მნახოს უბრალოდ, რა შემიძლია, როგორ ვთამაშობ! როდესაც მეტყვის იმ დროს მოვალ... მისივე პიესიდან მონოლოგს წავუკითხავ და წავალ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

დარწმუნებული ვარ, კარგად გამოგივა.

ანი სულაძე - მსახიობი

გადაეცით, რომ მიმიღოს.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

„ჩემი ქმარი“ უკვე „მიღებებზე“ გადავიდა?

ანი სულაძე - მსახიობი

თქვენი ქმარი დიდი მწერალია. მინდა, რომ პიესა დამიწეროს. მე ვითამაშებ მთავარ როლს. მე მესმის, რომ ეს კორექტული არ არის, ჩემი მხრიდან, რომ პიესის დაწერას ვითხოვდე და თან, მთავარ როლს...

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

მაგრამ, ითხოვ...

ანი სულაძე - მსახიობი

...სხვა გზა არ მაქვს. თქვენ რომ იცოდეთ, სად მიწევს თამაში.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში ცოლი

რაღაც გაგებით, ჩვენი როლებით ყველანი უკმაყოფილო ვართ. (გასვლას აპირებს).

ანი სულაძე - მსახიობი

პირობას მაძლევთ? შემპირდით, რომ გადასცემთ და დაითანხმებთ. „...ოჰ, რა დიდებულს ჭკვა-გონებას ეწია ბნელი! სასახლის თვალსა, ენამჭევრსა, ვაჟკაცობით სრულს, იმედსა და ვარდსა ამ მშვენიერ სახელმწიფოსას, სამაგალითოს ზნეობის და ყოფაქცევისთვის!“

მეხუთე სურათი

ანი სულაძე - მსახიობი

ალბერტ სულაძე - ანის მამა, „აკრობატების თეატრის“ მსახიობი

ჯანგო სულაძე - ანის დედა „აკრობატების თეატრის“ მსახიობი

გოჩა მელია - მსახიობი

გია სალაძე - რეჟისორი

„აკრობატების თეატრის“ რეპეტიციაა. ალბერტ და ჯანგო სულაძეები ნომრის შესასრულებლად ემზადებიან. სცენაზე გამოდის მსახიობი ანი სულაძე, სამედიცინო საწოლს მოაგორებს. პარტერში რეჟისორი გია სალაძე და მსახიობი გოჩა მელია სხედან.

ანი სულაძე - მსახიობი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „აკრობატების თეატრში“. მე ანი სულაძე გახლავართ. დღეს უჩვეულო წარმოდგენის მომსწრენი გახდებით. ნომერი, (რომელსაც სულ მალე ნახავთ), ორი საუკუნის წინ, შეასრულეს ცნობილმა გერმანელმა აკრობატებმა ალფრედ და ჯოზეფ ბალასებმა. ეს შორეულ ათას რვაას სამოცდაათ წელს მოხდა. ალფრედ ბალასმა უზარმაზარი ზომის ჩაქუჩი სცენაზე გამოიტანა და მის ძმას, ჯოზეფ ბალასს გადააწოდა. ჯოზეფ ბალასმა ეს ჩაქუჩი გადაყლაპა, რის შედეგადაც ორივე ძმა ადგილზე გარდაიცვალა. დღეს ამ ტრაგიკული, სარისკო ნომრის გამეორებას შეეცდება ცნობილი ილუზიონისტი, აკრობატი, ათლეტი, მოფარიკავე, მოცურავე, მოჯირითე და მებაირაღე ალბერტ სულაძე. მას მსოფლიოში ცნობილი ტანმოვარჯიშე, ასტროლოგი, სიცილის თერაპევტი, ინჟინერი, ხანძრის მართვის ინსტრუქტორი და მუსიკათმცოდნე ჯანგო სულაძე დაეხმარება. ყურადღებით იყავით, სუსტი ნერვების მქონე პირები, ბავშვები, ქალები და მოხუცები გთხოვთ მოარიდოთ ამ სანახაობას, რამე თუ ბოლოს, ორი საუკუნის წინ, ამ ნომრის შესრულებისას ტრაგედია არა მარტო სცენაზე, არამედ დარბაზშიც მოხდა. ბევრმა ვერ გაუძლო სანახაობას.

(ამასობაში, სცენაზე გამოდიან ალბერტ და ჯანგო სულაძეები. ჯანგო სულაძეს ხელში დიდი ზომის ჩაქუჩი უჭირავს).

ანი სულაძე - მსახიობი

ეს ჩაქუჩი, რომელსაც თქვენ ახლა ხედავთ, ის ჩაქუჩია, ჯოზეფ ბალასმა რომ გადაყლაპა. ის ცხრა კილოს იწონის. შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ ამაში.

(ჯანგო სულაძე მსახიობ ანი სულაძეს ჩაქუჩს აწვდის. ანი სულაძე პარტერში ჩამოდის და რეჟისორ გია სალაძეს აწვდის. (მის გვერდით მსახიობი გოჩა მელია ზის). რეჟისორი და მსახიობი ჩაქუჩს გულისყურით ათვალიერებენ. ორივენი შთაბეჭდილების ქვეშ არიან. ამასობაში სცენაზე დარჩენილი ალბერტ სულაძე მაყურებელს ლექსით მიმართავს).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

„საქართველოში იბადებოდნენ

და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:

ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.“ *

ანი სულაძე - მსახიობი

(პარტერიდან სცენაზე ადის). ძვირფასო მაყურებელო, თქვენ სასწაულს ნახავთ. დაიმახსოვრეთ, შეიძლება ადამიანმა ჩაქუჩი გადაყლაპოს და მაინც არ მოსწყინდეს სადღეგრძელოს დალევა.

(ანი სულაძე ჯანგო სულაძეს ჩაქუჩს აწვდის. თავის მხრივ, ჯანგო სულაძე ალბერტ სულაძეს ჩაქუჩს მუხლმოდრეკით გადასცემს).

ანი სულაძე - მსახიობი

მაშ ასე... ერთი...

(ალბერტ სულაძე ჩაქუჩს გამოართმევს და სწრაფად გადაყლაპავს. მხატვრული განათება ითიშება. რეპეტიცია დამთავრდა. ჯანგო სულაძე გადაყლაპულ ჩაქუჩს (ქმრის სპეც კოსტიუმიდან) ამოიღებს. განმეორებითი რეპეტიციისთვის ემზადებიან).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ანი სულაძეს) ტექსტი გამოტოვე. სად არის ფურცლები? მომეცი. აი, აქ, ეს გამოგრჩა: „მისტიკურ მოძღვრებათა მიხედვით, ბუნებაში არსებობენ იდუმალი ძალები და მხოლოდ ზეადამიანებს შეუძლიათ მაგიური შთაგონების ძალით მათთან კავშირის დამყარება. დღეს, თქვენ ამის მომსწრენი გახდებით...“ დარბაზიდან რომ ამოხვალ, დედაშენი სანამ ჩაქუჩს მომაწვდის, მაშინ უნდა თქვა.

ანი სულაძე - მსახიობი

თეატრში როლი მომცეს... მე არაფერ შუაში ვარ, ქუჩაში ერთი ქალი გადამეკიდა, ჩემი ქმრის პიესაში შენ უნდა ითამაშოო. თურმე, მალხაზო ქუმსალიას ცოლი ყოფილა. და მერე შევხდი ამ მწერალს, მერე შემახვედრა რეჟისორს, გია სალაძეს, და როლი შემომთავაზა, მთავარი როლი თეატრში და მე ვუთხარი, რომ დავფიქრდები-თქო და მერე გაგიჟდნენ, ასეთ შანსს ხელიდან როგორ უშვებო და მე ვუთხარი, რომ ჩემებს უნდა ვკითხოთ-თქო და მერე არ გამომიშვეს, დედას გეფიცებით, შენები უნდა ვნახოთო, გია სალაძემ მითხრა მამაშენს და დედაშენს მე დაველაპარაკებიო და მე ვუთხარი, რომ არ ღირდა, რომ მაინც წინააღმდეგი იქნებოდით და მოკლედ...

(სცენაზე რეჟისორი გოჩა მელია და მსახიობი გია სალაძე ადიან).

*კითხულობს ლადო ასათიანის ლექსს „საქართველოში“.

გია სალაძე - რეჟისორი

„საქართველოში როცა კვდებოდნენ,

უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე“

გოჩა მელია - მსახიობი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

ჯანგო სულაძე - ანის დედა

ეს ჩვენი თეატრია. ამ თეატრში ჩვენ ვართ დირექტორებიც და მსახიობებიც, მხატვრებიც და გამნათებლებიც, მწერლებიც და რეჟისორებიც. ჩვენ პატარა სცენაზე ვთამაშობთ, აქ ვართ ბედნიერები.

გია სალაძე - რეჟისორი

(ეცნობა). გია სალაძე, რეჟისორი. ეს კი, მსახიობი გოჩა მელიაა. ჩვენ თქვენი თეატრის დიდი გულშემატკივრები ვართ.

გოჩა მელია - მსახიობი

დიდი სცენა პატარისგან იმით განსხვავდება, რომ სიჩუმე უფრო მძიმეა. ასე ამბობდნენ სცენის კორიფეები: ჩხეიძე, ვასაძე, ანჯაფარიძე, ხორავა...

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(ალბერტ სულაძეს. ანიზე მიუთითებს). ამან კიდევ დიდი სცენა მოინდომა.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ეს რაღაც ახალია.

გია სალაძე - რეჟისორი

თქვენი ქალიშვილი დაბადებულია აპლოდისმენტებისთვის.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(ალბერტ სულაძეს). დაგვცინის.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ცოლს მიმართავს). დათანხმდა?

გია სალაძე - რეჟისორი

ეს არის შანსი, რომ საქართველომ ანის ხმა გაიგოს. ანის მთავარი როლი შევთავაზეთ. მისი თამაშის მანერა უნიკალურია. ერთდროულად შეუძლია ღრმა ფილოსოფიური სენტენციები ილაპარაკოს და ამავე დროს მაყურებელი გაართოს. ასეთი რამ იშვიათობაა.

გოჩა მელია - მსახიობი

მიეცით უფლება ანის, იყოს ბედნიერი.

ანი სულაძე - მსახიობი

(მშობლებს). უარი ვუთხარი. მე ვიცი, რომ თეატრი ეშმაკისეულია. თეატრი გართობაა და გართობა სულის სნეულებაა. ეს მე ვიცი. თეატრში ხალხს ატყუებენ, ქმნიან ილუზიას, მასკარადს და ჩვენ ამაში მონაწილეობას არ მივიღებთ. ჩვენ, ანუ მე.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(პაუზის შემდეგ). დავიწყოთ.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

ანი, ყურადღებით...

გია სალაძე - რეჟისორი

ბატონო ალბერტ...

გოჩა მელია - მსახიობი

ქალბატონო ჯანგო, თქვენ...

(ხმამაღალი მუსიკა მათ სიტყვის დამთავრების საშუალებას არ აძლევს. წარმოდგენის რეპეტიცია ხელახლა იწყება. ირთვება მისტიკური მუსიკა, იცვლება განათება. ყველაფერი ისეა, როგორც სცენის დასაწყისში. მომდევნო დიალოგი ამ მუსიკისა და განათებით გრძელდება. ანი სულაძე სამედიცინო საწოლს მოაგორებს).

ანი სულაძე - მსახიობი

აქ მინდა ყოფნა, წადით! დამღალეთ თქვენი სისულელეებით, თქვენი უნიჭო სპექტაკლებით და ვითომ წარმატებული პრემიერებით. მე რაში გჭირდებით, ეგ როლი სტუდენტსაც შეუძლია ითამაშოს. ერთმანეთისთვის წერთ, ერთმანეთისთვის დგამთ, ერთმანეთს უკრავთ ტაშს, ერთმანეთს აქებთ და ერთმანეთზე წერთ პოსტებს, მერე ზურგს უკან აგინებთ ერთმანეთს და ერთი სული გაქვთ ვინმეს ფეხი დაუცდეს, რომ გადაუაროთ, უკანმოუხედავად გადათელოთ, მერე ფეისბუკზე დაბლოკოთ, და მერე, ისევ თავიდან, ერთმანეთისთვის დაწერთ პიესებს, ერთმანეთისთვის დადგამთ სპექტაკლებს, ერთმანეთს დაუკრავთ ტაშს, ერთმანეთს შეაქებთ, ერთმანეთზე დაწერთ პოსტებს, მერე ზურგს უკან ერთმანეთს გალანძღავთ და ერთმანეთს ხელს კრავთ და ვინც პირველი დაეცემა, იმას ერთად გადაუვლით და ვითომც არაფერი, შეხვედრისას კეთილი ნაცნობებივით მიესალმებით ერთმანეთს.

(ამასობაში, სცენაზე გამოდიან ალბერტ და ჯანგო სულაძეები. ჯანგო სულაძეს ხელში დიდი ზომის ჩაქუჩი უჭირავს. ალბერტ სულაძე სამედიცინო საწოლზე წვება. ჯანგო სულაძე ჩაქუჩს ანის აწვდის).

ანი სულაძე - მსახიობი

ერთმანეთს უშლით ნერვს, მაგრამ პირში ერთმანეთს უცინით, ერთმანეთი გძულთ და ამბობთ, რომ გიჟდებით ერთმანეთზე, ერთმანეთის გშურთ და არ აღიარებთ. გინდათ, რომ ერთმანეთი დაახრჩოთ, გინდათ, რომ თქვენი ზიზღი გადამდები იყოს და სხვასაც ისე სძულდეთ, როგორც ერთმანეთი გძულთ. ზიზღში ეჯიბრებით ერთმანეთს. ერთ წრეზე დარბიხართ და გგონიათ, რომ სხვაგან გააღწიეთ, სამი კაცი ტაშს დაგიკრავთ და გგონიათ, რომ მთელი ქვეყანა თქვენია. სხვის სიტყვებს იმეორებთ და საკუთარი გგონიათ. და გინდათ, რომ თქვენთან მოვიდე? ჩემი მშობლების თეატრი მივატოვო და ამ „საქართველოს“ ნაწილი გავხდე? „საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე?“, ეს გინდათ ჩემგან?

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(განაგრძობს თამაშს). მისტიკურ მოძღვრებათა მიხედვით, ბუნებაში არსებობენ იდუმალი ძალები და მხოლოდ ზეადამიანებს შეუძლიათ მაგიური შთაგონების ძალით მათთან კავშირის დამყარება. დღეს თქვენ ამის მომსწრენი გახდებით...

ანი სულაძე - მსახიობი

(ჩაქუჩს რეჟისორ გია სალაძეს და მსახიობ გოჩა მელიას აწვდის). ჩვენ აქ ყოველ კვირა ახალ სპექტაკლს ვდგამთ, ლექსებს ვამბობთ, სამედიცინო საწოლს დავაგორებთ, ჩაქუჩებს ვყლაპავთ, ხალხს ვართობთ, ვაცინებთ და ხალხი ჩვენს ნათქვამს იმეორებს. ბილეთს ვერ იშოვი ჩვენს სპექტაკლებზე. ჩვენს თავს ჩვენ თვითონ ვინახავთ. აი, ჩვენი პატარა თეატრი.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(განაგრძობს თამაშს). წარმოგიდგენთ მსოფლიოში ცნობილ ტანმოვარჯიშეს, ასტროლოგს, სიცილის თერაპევტს, შოკოლადის ინჟინერიის მაგისტრს, ხანძრის მართვის ინსტრუქტორს და მუსიკათმცოდნე ჯანგო სულაძეს.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

ყურადღებით იყავით, სუსტი ნერვების მქონე პირები, ბავშვები, ქალები და მოხუცები გთხოვთ მოერიდოთ ამ სანახაობას.

ანი სულაძე - მსახიობი

(რეჟისორს და მსახიობს). მითხარით ახლა, რომ არ მაქვს თეატრალური ნიჭი, მითხარით, რომ ამ როლსაც ძლივს ვთამაშობ, ჩაქუჩის დამტარებლის როლს. მითხარით, რომ მთელი ქვეყნის წინაშე თავი უნდა მოვიჭრა, მითხარით, რომ ვარ უნიჭო, მითხარით, ჰო, ვიცი რასაც ფიქრობთ. ვიცი!

მეექვსე სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

სასტუმროს ოთახი.

ნომერში მწერალი მალხაზო ქუმსალია და მსახიობი ანი სულაძე არიან.

ანი სულაძე - მსახიობი

დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო გია... (სიცილით, პაუზის შემდეგ). კარგით, კარგით... უბრალოდ გიას დაგიძახებთ... (მცირე პაუზა, რომელსაც სიცილი მოსდევს). კარგი, იყოს, შენობით ვილაპარაკოთ... ვისაუბროთ... უფრო სწორედ, ვილაპარაკოთ... (მცირე პაუზის შემდეგ). ჰო, მინდოდა, რა თქმა უნდა, არ დაგიმალავ, შენს სპექტაკლში თამაში... ჰო გავიგე, რომ მალხაზოს პიესაა... რა დაიმალება ჩვენს წრეში... არა, წაკითხული არ მაქვს.... კი, მზად ვარ... მოვალ... (ოთახში შემოდის მწერალი მალხაზო ქუმსალია. გზად იცვამს).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ხელით ანიშნებს, რომ ეჩქარება და უნდა წავიდეს. ტუჩების მოძრაობით ეუბნება). მე-ჩქა-რე-ბა.

ანი სულაძე - მსახიობი

(ხელით ანიშნებს, რომ დარჩეს). არა, მესმის, ეს ჩვეულებრივი ამბავია, „გასატეხი“ რა არის? მოვალ სინჯებზე. პიესა არ მაქვს. (ხელში ფურცლების დასტას იღებს და მწერალს ესვრის. მცირე პაუზის შემდეგ). პიესიდან იქნება ხო რამე სცენა? (მცირე პაუზის შემდეგ). ბატონ მალხაზოს უნდა შევხვდე? ვნერვიულობ... არა ნუ, მაინც, ცოცხალი დრამატურგია... კი, მეილს ახლა მოგწერ ესემესით. კი, ძალიან გამიხარდა, რა თქმა უნდა... (მცირე პაუზის შემდეგ, სიცილით). კი, პატივია ჩემთვის...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ტუჩების მოძრაობით ეუბნება). ვინ არის? (გაბნეული ფურცლების აკრეფას იწყებს).

ანი სულაძე - მსახიობი

(ხელით ანიშნებს რაღაცას, რომელსაც მარტო მწერალი თუ მიხვდებოდა). კი, სამშაბათს, სამზე... კი, მანდ ვარ. მადლობა და შეხვედრამდე! (ტელეფონს გათიშვამდე). ბატონი მალხაზოც იქნება? (მაგრამ ყურმილი უკვე გათიშეს).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არ მჯერა!

ანი სულაძე - მსახიობი

ვითომ არ იცი!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ჩემს პიესას რას ერჩოდი?

ანი სულაძე - მსახიობი

შენ რომ არ მყავდე! (გადაეხვევა). მადლობა, ჩემო სიცოცხლე.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მე რა შუაში ვარ? (ხელიდან დაუსხლტება). დაგამტკიცეს?

ანი სულაძე - მსახიობი

პიესა წაკითხული გაქვსო და ხო არ ვეტყოდი, ჩემთვის დაწერაო?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

შენ რა შუაში ხარ? ჩემს ცოლს დავუწერე... კარგი, კარგი არ მინდოდა წყენინება.

ანი სულაძე - მსახიობი

რო არ გააფუჭო ყველაფერი არ შეგიძლია, ხო? თქვი რა, როგორც იყო.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

და როგორ იყო?

ანი სულაძე - მსახიობი

(ნაწყენი). კაი...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არა, მართლა მაინტერესებს. რა გგონია, რომ პიესა შენ დაგიწერე და მერე რეჟისორთან მივედი და ანი ათამაშე-თქო ვუთხარი, შენ გგონია ეგრე ხდება ეს ამბავი? რას გაჩუმდი? არა, მართლა, მითხარი. ასე გგონია? შენ შენი თავი მართლა ცოცხალი ჰო არ გგონია?

ანი სულაძე - მსახიობი

მაიმუნი ხარ!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რა? (სილას გაარტყამს). რა მითხარი?

ანი სულაძე - მსახიობი

თფუ, რა არაკაცი ხარ!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ცოტა ხნის წინ სხვა რამეს ამბობდი.

ანი სულაძე - მსახიობი

ერთ ადგილას გაიკეთეთ ეგ როლი, შენი ცოლი და შენი სასტუმროს ნომერი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რა ვერ გაიგე, რომ არ არსებობ. შენ არ არსებობ. შენ ხარ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი. ძნელი მისახვედრია? ფურცლებზე ხარ მარტო, ჩემს მაგიდაზე ნაჯღაბნი ტექსტი ხარ!

ანი სულაძე - მსახიობი

ცოტა ხის წინ, ამ ტექსტებს ხმარობდი!?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ახლა ხომ? როლზე რო დაგამტკიცეს, ხომ? გინდა ამოგშალო? შენი როლი საერთოდ გავაქრო? და შენც გაქრები.

ანი სულაძე - მსახიობი

და რა ვერ გამაქრე ამდენი ხანი? ესე იგი, ვერ მაქრობ. ვერ მერევი. ერთხელ ხომ მომკალი, მაგრამ მაინც აქ ვარ. მხმარობ სადაც გინდა და როგორც გინდა და მაინც ვარ. აქ ვარ! შემომხედე! აი, აქ ვარ, მალხაზო... აქ ვარ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აბა, არაკაცი ხარო...

ანი სულაძე - მსახიობი

(მიხვდა, რომ აწყენინა). მალხაზიკო, ძალიან გთხოვ, ძალიან გთხოვ, მივალ რა... ხო იცი, უშენოდ არაფერი გამომივა, ძალიან გთხოვ... (საწოლში ჩათრევას ცდილობს). ხო ვიცი, რო გიყვარვარ... ძალიან გთხოვ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ახალი სცენა მოვიფიქრე.

ანი სულაძე - მსახიობი

შენ რო არ მყავდე, მე ხო ვიცი, მე დამიწერე ეგ როლი, ჩემთვის გააკეთე ყველაფერი, ხო ვიცი, რომ გიასთანაც შენ მიხვედი და შენ სთხოვე, რატო ხარ ასეთ ჯიუტი, მოდი, არ წახვიდე...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი... ანი, სამუშაო მაქვს...

(ანი მალხაზს არ უშვებს. ის ისაა, ანი წასასვლელად გამზადებული მალხაზის გახდას იწყებს, რომ შემოდის რეჟისორი გია სალაძე და მსახიობი გოჩა მელია. ისინი საწოლში მონავარდე წყვილს თავზე წამოდგებიან).

ანი სულაძე - მსახიობი

(მალხაზს). „შენი აზრით, ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ, მაიმუნებმა იციან თუ არა, რომ მათი ნახვა გვინდა?“

მეშვიდე სურათი

ანი სულაძე - მსახიობი

გოჩა მელია - მსახიობი

გია სალაძე - რეჟისორი

თეატრი. სარეპეტიციო.

გია სალაძე - რეჟისორი

(ანი სულაძეს). ეს ტექსტი მძიმე, ცოტა ფილოსოფიურია და გაართულებს სცენას. მინდა, რომ მსუბუქად წაიკითხო. (ტექსტს ზეპირად ამბობს, მსახიობს თამაშის სტილს უკარნახებს). „შენი აზრით... ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ...“ ასე, შეგიძლია?

ანი სულაძე - მსახიობი

(რეპეტიციაში ერთვება). „შენი აზრით, ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ, მაიმუნებმა იციან თუ არა, რომ მათი ნახვა გვინდა?“

გია სალაძე - რეჟისორი

ცოტა უფრო მსუბუქად, შენ თავს ეკითხები, აი, საინტერესოა, „ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ...“ თითქოს ეკითხებოდა, დღეს რა ამინდი იქნება, მზეა, თუ იწვიმებს?

ანი სულაძე - მსახიობი

(სხვა ინტონაციით). „შენი აზრით, ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ...“

გია სალაძე - რეჟისორი

კარგია, ეგრე, უფრო ღრმად.

ანი სულაძე - მსახიობი

„მაიმუნებმა იციან თუ არა, რომ მათი ნახვა გვინდა?“

გია სალაძე - რეჟისორი

შენ თავს ეკითხები, მაგრამ გამოდის, რომ მაყურებელს მიმართავ. მოდი, მაყურებლისკენ მოტრიალდი, ოღონდ ისე კითხე, რომ შენ თავს ეკითხებოდე. „ზოოპარკში მაიმუნების სანახავად რომ მივდივართ, იციან მაიმუნებმა ეგ?“

ანი სულაძე - მსახიობი

„თუ მაიმუნებს ჰგონიათ, რომ ისინი თავისთვის ცხოვრობენ, თავის ყოფას მისდევენ, ასე ვთქვათ და უცებ ამ ყოფაში ვიღაცები მოდიან და მიდიან. რა ჰგონიათ მაიმუნებს?“

გია სალაძე - რეჟისორი

სად არის გოჩა? არ მოსულა?

ანი სულაძე - მსახიობი

„იმიტომ, რომ თუ მაგათ იციან, რომ ზოოპარკში იმიტომ ცხოვრობენ, რომ ჩვენ, ადამიანები მათ სანახავად მივიდეთ და დავაკვირდეთ, მერე ერთმანეთს შთაბეჭდილებები გავუზიაროთ და ასე შემდეგ, მაშინ მაიმუნები ძალიან შეურაცხყოფილნი უნდა იყვნენ. აბა, წარმოიდგინე, პირიქით რომ იყოს. ადამიანი ხარ და ზოოპარკში ცხოვრობ, შენს ყოფაში ხარ და უცებ მაიმუნები მოდიან და გიყურებენ, გაკვირდებიან, მერე ვიღაცამ შეიძლება საჭმელი მოგაწოდოს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკონ, დაგცინონ და წავიდნენ. და ასე დაუსრულებლად, ყოველ დღე ერთი და იგივე. წარმოიდგინე? არ არის დამამცირებელი? მე მგონი, რომ ძალიან.“

გია სალაძე - რეჟისორი

ეს გადამწყვეტი კითხვაა. ეკითხები მაყურებელს და შენს თავს: „შენ ამბობ, რომ მაიმუნებმა იციან, რომ ზოოპარკში ცხოვრობენ?“ აქ შემოდის გოჩა. თქვენ მარტო რჩებით, მაგრამ მანამდე, ეს ტექსტია... (ფურცლებში იყურება). „ასე, რა იციან, არ ვიცი“... თუ ეს გოჩას ტექსტია? (უძახის). გოჩა, შენი ტექსტია.

გოჩა მელია - მსახიობი

(თავქუდმოგლეჯილი შემორბის, პირდაპირ რეპეტიციაში ერთვება). „...ასე, რა იციან, არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ ზოოპარკი თუ იციან, რა არის. ანუ რისთვის არის ზოოპარკი“. (ფურცლები ხელიდან უცვივა). სად ხართ?

გია სალაძე - რეჟისორი

ეს შენი ტექსტია, თუ ანის? მესამე სცენა. დასაწყისი. (ფურცლებში იყურება). მე სხვანაირად მიწერია.

ანი სულაძე - მსახიობი

ბატონო გია... გია... ეს... გოჩა და მე? შეყვარებულები?

გია სალაძე - რეჟისორი

მე მენდე.

გოჩა მელია - მსახიობი

(ფურცლებს კრეფს). რა დამემართა, რო მოგიყვეთ, არ დამიჯერებთ. მოვდიოდი და რეზო შემხვდა, მკვდარი ყოფილა და მეგონა ცოცხალი იყო. ბიჭო, ვეუბნები შენ ხომ ცოცხალი ხარ და საიდან მოიტანეო. (საკუთარ ხუმრობაზე იცინის).

ანი სულაძე - მსახიობი

(ყურადღებას არ აქცევს. თამაშს განაგრძობს). „ასე, რა იციან, არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ ზოოპარკი თუ იციან, რა არის. ანუ რისთვის არის ზოოპარკი. მაგრამ ის რომ იცოდნენ, რომ ზოოპარკი არსებობს და რისთვის არის ზოოპარკი, რომ ადამიანები გაერთონ და შენ ამ დროს დამწყვდეული იყო გალიაში. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მაიმუნებმა რომ იცოდნენ ზოოპარკში რისთვის ცხოვრობენ, ალბათ თავს მოიკლავდნენ.“

გოჩა მელია - მსახიობი

(ფურცლებს შეკრებს, ანის თამაშში აჰყვება). „რა გინდა, კარგად არიან მაიმუნები ზოოპარკში. საჭმელი აქვთ, სასმელი აქვთ, თავს არავინ ესხმის. რამე თუ ასტკივდებათ, ექიმებიც ჰყავთ, ერთადერთი რაც ევალებათ ისაა, ერთმანეთი არ დახოცონ და მგონი, არც ხოცავენ. ყოველ შემთხვევაში, არ გამიგია, ვინმეს ეთქვას, ზოოპარკში მასობრივი ჩხუბის შედეგად მაიმუნებმა ერთმანეთი დახოცესო.“

გია სალაძე - რეჟისორი

(ანის). ამაზე ბრაზდები.

ანი სულაძე - მსახიობი

(რეჟისორს). ამ დროს რას ვაკეთებ? ვდგავარ? თუ დავდივარ.

გოჩა მელია - მსახიობი

(ანი სულაძეს). შენ მოდიხარ ჩემთან და მე გკოცნი. სექსამდე უნდა მივიდეთ.

გია სალაძე - რეჟისორი

აქ მთავარი ის არის, რომ თქვენ როგორც მაიმუნებს, ცხოველური ინსტინქტები გაქვთ.

ანი სულაძე - მსახიობი

ვითომ მაიმუნები მეცოდება და სინამდვილეში ამ კაცთან მინდა?

გოჩა მელია - მსახიობი

(ანი სულაძეს). ასე, მოდი, აქ ვდგავარ და მერე, მე მაქვს ტექსტი.

გია სალაძე - რეჟისორი

გოჩა, შეიძლება, რომ დავდგა სპექტაკლი? შეიძლება, რომ მაცალო?

გოჩა მელია - მსახიობი

ჩვენ მაიმუნები გავხდით.

გია სალაძე - რეჟისორი

გოჩა! (პაუზის შემდეგ). ზოოპარკი თქვენი სახლია, იქ არის თქვენი საწოლი. იმიტომ, რომ თქვენი სექსი პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ზოოპარკი ხართ. ოღონდ ტელეფონში.

ანი სულაძე - მსახიობი

მაგარია!

გოჩა მელია - მსახიობი

პირდაპირ ეთერში გადაიცემა?!

გია სალაძე - რეჟისორი

(გოჩა მელიას). გოჩა, თითქოს ეუბნები, რომ ჩემთან ავიდეთ და მარტონი დავრჩეთ, თუ რაღაც ამდაგვარს. ტექსტი სხვაა და შენ ფიქრებით სხვაგან ხარ. ამასთან გინდა, მარტო დარჩე...

ანი სულაძე - მსახიობი

მეც მინდა?

გია სალაძე - რეჟისორი

ორივეს გინდათ სექსი. (ანი სულაძეს). მაგრამ შენ არ აჩვენებ რომ გინდა. შენ წასვლა გინდა, გოჩამ უნდა დაგტოვოს ძალით. ვითომ მარტო გოჩას უნდა. დავიწყეთ.

გოჩა მელია - მსახიობი

ბოდიში, ბატონო გია, ჩვენ ვართ ზოოპარკი?

(განათება იცვლება. სცენაზე მხოლოდ ანი და გოჩა რჩებიან. მომდევნო დიალოგი ორი ახალგაზრდას სასიყვარულო სცენას ჰგავს).

გოჩა მელია - მსახიობი

(სხვა ინტონაციით). „შენ ამბობ, რომ მაიმუნებმა იციან, რომ ზოოპარკში ცხოვრობენ?“

ანი სულაძე - მსახიობი

(სხვა ინტონაციით. აქ და შემდგომ უფრო სექსუალური კონტექსტით თამაშობს. რეჟისორის დავალებას ასრულებს). „ასე, რა იციან, არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ ზოოპარკი თუ იციან, რა არის.“ (გასვლას აპირებს)

გოჩა მელია - მსახიობი

(ხელით იჭერს, მისკენ მიიზიდავს. ანის პირისპირ დგას). „რისთვის არის ზოოპარკი?“

ანი სულაძე - მსახიობი

„ადამიანები ერთობიან და ეს საცოდავები ამ დროს გალიაში არიან დამწყვდეული.“ (ხელის გათავისუფლება უნდა).

გოჩა მელია - მსახიობი

(უფრო მეტად სექსუალური კონტექსტით, რეჟისორის დავალებას ასრულებს) „ანუ, რომ იცოდნენ ზოოპარკში რომ არიან, ალბათ თავს მოიკლავდნენ.“

ანი სულაძე - მსახიობი

არ გეშინია ჩემი? (ხელს უხეშად გაითავისუფლებს).

გოჩა მელია - მსახიობი

ჩვენც გვაკვირდებიან?

ანი სულაძე - მსახიობი

ზოოპარკში ვცხოვრობთ!

გოჩა მელია - მსახიობი

ყველა ჩვენ გვიყურებს.

ანი სულაძე - მსახიობი

აი, ტკბილეული მომაწოდეს.

გოჩა მელია - მსახიობი

მე პოპ-კორნი გადმომიყარეს.

ანი სულაძე - მსახიობი

გვიყურებენ.

გოჩა მელია - მსახიობი

ჩვენზე იცინიან.

ანი სულაძე - მსახიობი

არ მიაქციო ყურადღება.

გოჩა მელია - მსახიობი

ეს კაცი გაბრაზებულია.

ანი სულაძე - მსახიობი

ეს ქალი ზედმეტად გახარებული. რა აცინებს?

გოჩა მელია - მსახიობი

ხომ არ უნდა, ახლა...

ანი სულაძე - მსახიობი

არ გინდა, საჭმელს აღარ მოგვცემენ.

გოჩა მელია - მსახიობი

ნაყინი მომცეს იმ ბავშვმა, მაინც არ ჭამს.

ანი სულაძე - მსახიობი

მოდი, მეცეკვე.

მერვე სურათი

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

თეატრის საგრიმიორო.

სპექტაკლი ეს ესაა დამთავრდა. მწერლის ცოლი - სულიკო აბასაშვილი სარკის წინ გრიმს იცილებს. საგრიმიოროში შემოდიან გამომძიებელი და კრიმინალისტი.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

დამელოდეთ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

იცნობდით ანი სულაძეს? (ფოტოს აჩვენებს).

(სულიკო აბასაშვილი ფოტოს არ დახედავს. დუმილის უფლებას იყენებს).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ბისმარკ კაპანაძე, ქალაქის მთავარი კრიმინალური სამსახურის უმცროსი თანამშრომელი.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ქალბატონო სულიკო, მე თქვენი დიდი ხნის თაყვანისმცემელი ვარ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ვიცი, მახსოვხართ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ყველა სპექტაკლი მაქვს ნანახი.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(გამომძიებლის კომპლიმენტს არ უპასუხებს. კრიმინალისტს მიმართავს). მოგეწონათ?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ფოტოზე მიუთითებს). ამ პიროვნებას იცნობდით?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მე თქვენ დაგინახეთ, მესამე რიგში ისხედით. მომეჩვენა, თუ მართაც გადაულაპარაკეთ ერთმანეთს, როდესაც სცენაზე ფეხი დამიცდა? (სპექტაკლიდან რეპლიკას იმეორებს). „გამოდი, ვიცი ვინც ხარ“. იყო ასე?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

მერიდება გკითხოთ... ეს წაქცევა, შემთხვევით იყო, თუ..?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

სცენაზე შემთხვევით არაფერი ხდება.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჩემი იდეა იყო. (სპექტაკლზე მოსვლა).

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

როგორც ვატყობ, თქვენი კოლეგა ფეხს ითრევდა. (კრიმინალისტს). რატომ, არ გიყვართ თეატრი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მე უფრო ფაქტებს ვეყრდნობი.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ფაქტები არ არსებობს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ეს ფრაზა მახსოვს! მე მგონი მალხაზო ქუმსალიას პიესაშია.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ადამიანები ორ კატეგორიად იყოფა. ვინც ფაქტებს იღებს ისეთს, როგორიც ის არის, და ისინი, ვინც აღქმებით მსჯელობს. სტატისტიკურად რეალისტების რიცხვი ნაკლებია. ბოლო კვლევების მიხედვით ოცდაათ პროცენტს უახლოვდება. უფრო ზუსტად კი - ოცდარვა პროცენტია.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(დეტექტივს). როგორც ვატყობ, უმრავლესობაში ვართ. აქ მაინც გაგვიმართლა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ქალბატონო სულიკო, ჩვენ მკვლელობას ვიძიებთ. მე ქალაქის საგამოძიებო სამსახურის მთავარი გამომძიებელი თენგულა ასათიანი გახლავართ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(კრიმინალისტს). ანი სულაძეს რატომ ეძებთ?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

იცნობდით?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

რამე შეემთხვა?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ქალბატონო სულიკო, ბოლოს სად ნახეთ?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(ფოტოს უყურებს). ლამაზი გოგონაა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ეს კი, მისი უკანასკნელი ფოტოა. (სხვა ფოტოს აჩვენებს).

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ფილმიდანაა?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

სამწუხაროდ, რეალობაა.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ეს გოგონა დღეს თქვენს გვერდით, მესამე რიგში იჯდა. ორმოცდაათი წელი სცენაზე ვარ და შემიძლია ზუსტად გითხრათ, ვინ, სად, რომელ რიგში იჯდა. სახეებს კარგად ვიმახსოვრებ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს გოგონა გარდაცვლილია.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

და როგორც ხედავთ, სასტიკად არის მოკლული.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

რა დააშავა?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მხოლოდ ის, რომ სხვისი ცოლის ქმართან იწვა.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მოკლა თუ შემოაკვდა?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

იცოდით?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მაჩვენეთ ფოტო... ეს არა, პირველი... (ფოტოს დიდხანს უყურებს).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მე ვიცი, რომ თქვენ იცით, რომ ჩვენ ვიცით. ისიც ვიცით, რომ თქვენმა ქმარმა იცის, რაც თქვენ იცით, მაგრამ მან ჯერ არ იცის, რომ ჩვენც ვიცით. მაგრამ თქვენი ქმარი ჭკვიანი კაცია და იმაზე მეტი იცის, ვიდრე იცის რომ იცის. წარმოდგენაში თქვენს ქმარს ვერ შევეჯიბრებით, მწერალია, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ არც დიდად ჩამოვრჩებით. კარგია ეს თუ ცუდი, თქვენი ქმარიც ადამიანების იმ სამოცდათორმეტ პროცენტს მიეკუთვნება, ვინც აღქმებით მსჯელობს. ქალბატონო სულიკო, სანამ დროა, სჯობს ყველაფერი მოგვიყვეთ, არ დამალოთ... დაფიქრდით... დრო გაქვთ, სჯობს ის თქვათ, რაც მოხდა, ამ შემთხვევაში თქვენი ბრალი იურიდიულ ნაწილში არაფერი იქნება, მხოლოდ მორალურ კატეგორიაში გადაინაცვლებთ, თუმცა, მორალი, როგორც თქვენ უკვე იცით, საკამათო რამეა.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(თავისთვის. ფოტოს თვალს არ აცილებს). (ლამაზი გოგოა...) ეპატიება...

მეცხრე სურათი

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

გოჩა მელია - მსახიობი

გია სალაძე - რეჟისორი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ჯანგო სულაძე - ანის დედა

პარტიის ოფისი. პრესკონფერენცია. შემოდის მწერალი.

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მე ვიცი, რომ მწერლებს ყველაზე მეტად სუფთა ფურცლის გეშინიათ.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არ მეგონა, აქამდე თუ მივიდოდა საქმე.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, მწერლების სამოცდასამი პროცენტი წარმატებული პიესის შემდეგ ახალ პიესას ვეღარ წერს, ცხრა პროცენტი წერას იწყებს და ვერ ამთავრებს, ოცდაერთი პროცენტის პიესები წარუმატებელია და მხოლოდ დარჩენილი შვიდი პროცენტის პიესებია ვარგისი. ისევე როგორც ქირურგებს, პირველი გაჭრის შიში აქვთ, მსახიობებს პირველად სცენაზე გასვლის და ასე შემდეგ.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ქალიშვილებს პირველი ღამის.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ნუ უხეშობთ, არ გიხდებათ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

რატომ მოკალით მთავარი გმირი?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ბანალურია?

გოჩა მელია - მსახიობი

და მწერლის საყვარელი გახდა, როლი რომ მიიღოს? კარგით, რა!

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

და მე? მე თქვენი ფსიქოლოგი ვარ თუ ცოლი, რომელიც თურმე, მსახიობია ოცწლიანი სტაჟით. მაყურებელს სახეზე ვცნობ. რატომ ვარ თქვენი ფსიქოლოგი და ცოლი ერთდროულად? არ შეგეძლოთ სხვადასხვა მსახიობი ვყოფილიყავი?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

დედაჩემი არ მახსოვს, როგორი იყო.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

კარგად ვერ მივხვდი...

გია სალაძე - რეჟისორი

თუმცა, იმდენი დაწერეთ, რომ ციხეში აღმოჩნდით. მთავარი გმირის მკვლელობას საკუთარი პერსონაჟები გაბრალებენ?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არ გაინტერესებთ, რატომ მოვკალი მთავარი გმირი?

გია სალაძე - რეჟისორი

მე კი ვიცი. თქვენ თუ იცით?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არა, არ მიყვარს, ნუ მიყურებ ასე. დეტექტიური ხაზი მაკლია. კი დადის ეს ორი იდიოტი და ვითომ იძიებს საქმეს, მაგრამ, რაღაც მეტი უნდა.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

დეტექტივს, პოლიტიკა არ სჯობს? ახლა ყველას პოლიტიკა აინტერესებს.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

თქვენ ხომ მაინც იცით, რომ ამის გამკეთებელი არ ვარ? ადამიანი როგორ უნდა მოვკლა? გული როგორ უნდა მოვაჭრა? ფიზიკურად არ ვიცი ეს როგორ ხდება!? მერე და, რად მინდა ადამიანის გული? სად წავიღო?

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

მკვლელობისთვის გიჭერენ? თქვენ მსახიობი გოგონას მოკვლას გაბრალებენ? ნინო სულაძე. გული ამოაჭერით?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(შეუსწორებს). ანი, ანი სულაძე.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გამომძიებლებიც თქვენი შექმნილი არ არის? დაწერეთ და კვალი აურიეთ. ვითომ სხვა არის მკვლელი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აღარ მემორჩილებიან.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

თქვენ ხომ ყველაფრის კონტროლის მანიაკური სურვილი გაქვთ? გინდათ, რომ თქვენს გარშემო ტრიალებდეს დედამიწა. მაგრამ, უცებ, თქვენივე პერსონაჟი შეგიყვარდათ?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მე შეგქმენით, ჩემი პერსონაჟები ხართ, უჩემოდ თქვენ არც იარსებებდით. მე რასაც მინდა, იმას გიზამთ. ესაა ჩემი პროფესია - მოვიგონო, შევქმნა და მერე როგორც მინდა ისე გამოძრაოთ, მარიონეტებივით. მინდა მოვკლავ, მინდა არა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

თქვენ იცით, ვინ მოკლა მსახიობი ანი სულაძე?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

თქვენ ფიქრობთ, რომ მე გიჟი ვარ? არა! რასაც მინდა, იმას დავწერ. მე ვქმნი ამ სამყაროს! მე ხომ შემოქმედი ვარ, მე ხომ ღმერთი ვარ. მე ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

მეათე სურათი

ანი სულაძე - მსახიობი. 25 წლის

გოჩა მელია - მსახიობი. 40-45 წლის

გია სალაძე - რეჟისორი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მსახიობები რეპეტიციას გადიან. რეჟისორი პარტერში ზის. იქიდან იძლევა მითითებებს. მწერალი მალხაზო ქუმსალია საპრესკონფერენციო ტრიბუნასთან რჩება და რეპეტიციას იქიდან ადევნებს თვალს.

ანი სულაძე - მსახიობი

უიღბლო მამაკაცს ვხედავ. აუცილებლად! (მსახიობ გოჩა მელიას გარეგნობის აღწერას იწყებს). გრძელი, უკან გადაწეული თმით, ღიპის გარეშე, საშუალოზე მაღალი, მოხდენილი, წელში გამართული, სიმპათიური...

გოჩა მელია - მსახიობი

ეს მალე მოხდება და მალე მოვა დღეს, შეიძლება ითქვას, ის უკვე მოსულია.

ანი სულაძე - მსახიობი

უბრალოდ, არავის უნდა შეიმჩნიოს, რომ მალე ახლაა და ახლა წარსულია!

გოჩა მელია - მსახიობი

ამის დანახვა არავის სურს!!!

ანი სულაძე - მსახიობი

უიღბლობა მოდაში შემოვა, ალბათ.

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). ანი, შენ გახასიათებს მოდის განსაზღვრა.

ანი სულაძე - მსახიობი

უსასრულოდ განვითარებული მაქვს წინათგრძნობა და ვიცი, რომ უიღბლობა ადრე თუ გვიან მოდაში შემოვა. მე არც ცნობილი კუტიურიე და არც გამოჩენილი პრომოუტერი ვარ. ამიტომაც, ობიექტურად მაქვს იმის უფლება ვივარაუდო, რომ გავა ხანი და უიღბლობა მოდური გახდება.

გოჩა მელია - მსახიობი

უიღბლობა დაიპყრობს მაყურებელს.

ანი სულაძე - მსახიობი

პირველ რიგში ინტელექტუალებს, მემარცხენე, მემარცხენე ცენტრისტებს, ცენტრისტებს, მემარჯვენეებს და ულტრა მემარჯვენეებს.

გოჩა მელია - მსახიობი

იმიტომ რომ საზოგადოებას ყველაფერ ახალს და საინტერესოს ისინი სთავაზობენ.

ანი სულაძე - მსახიობი

ეს ფენა, ეს ადამიანები, ჩვენი ქვეყნის მომავალს ემსახურებიან, მის კულტურულ სივრცეს ქმნიან და ევროპაში გვიხსნიან კარს. იმიტომ, რომ ევროპა კულტურაა, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნება...

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). აბა, ერთი... გადავითამაშოთ... (ანის). „უიღბლო ადამიანის“ წინ სიტყვა პოლიტიკოსი ჩავსვათ. ანი, შენ წაიკითხე ეს მონოლოგი.

(სიჩუმეა. პასუხის გაცემას არავინ ჩქარობს).

გია სალაძე - რეჟისორი

დავიწყეთ... ანი, რას უცდი?!

ანი სულაძე - მსახიობი

ბატონმა მალხაზომ იცის?

გია სალაძე - რეჟისორი

მიდი, რა. მე ვიცი.

გოჩა მელია - მსახიობი

დრამატურგის გარეშე, რომ იცვლება?..

გია სალაძე - რეჟისორი

(ანის). დაიწყე! „მე ისიც კი ვიცი, ვინ იქნება პირველი ქართველი უიღბლო პოლიტიკოსი... ვინც პოლიტიკოსის როლს მოირგებს და ასე გამოჩნდება.“

(მწერალი მალხაზო ქუმსალია ტრიბუნიდან ჩამოდის და რეჟისორთან მიდის. რეჟისორი მწერლის მოსვლას არ ელოდა. მწერალი ჩუმად რაღაცას ესაუბრება. რეჟისორი და მწერალი კამათობენ, მათი ხმა ჯერ არ გვესმის. რეპეტიცია გრძელდება).

ანი სულაძე - მსახიობი

მამაკაცს ვხედავ, აუცილებლად! გრძელი, უკან გადაწეული თმით, ღიპის გარეშე, საშუალოზე მაღალი, მოხდენილი, წელში გამართული, ცოტა კეხიანი ცხვირით...

გოჩა მელია - მსახიობი

ეს მალე მოხდება და მალე მოვა დღეს, შეიძლება ითქვას, ის უკვე მოსულია.

ანი სულაძე - მსახიობი

უბრალოდ, არავის უნდა შეიმჩნიოს, რომ მალე ახლაა და ახლა წარსულია!

გოჩა მელია - მსახიობი

ამის დანახვა არავის სურს!!!

ანი სულაძე - მსახიობი

პოლიტიკოსობა მოდაში შემოვა, ალბათ.

გოჩა მელია - მსახიობი

ანი, შენ გახასიათებს მოდის განსაზღვრა.

(მწერლის და რეჟისორის ჩუმი კამათი მკაცრ და მომთხოვნ ჟესტიკულაციაში გადაიზრდება. მოულოდნელად მწერალი ხმას ამოიღებს. მწერლის პირველ წინადადებას, რეჟისორის ხმამაღალი შეპასუხება მოსდევს).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ხმამაღლა). რა შუაშია პოლიტიკა! რატომ ტენი ყველგან პოლიტიკას?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მე პოლიტიკური პიესა არ დამიწერია. პიესაა მწერალზე, რომელსაც საკუთარი გმირები უჯანყდებიან.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

შენ არაფერი არ ხარ. ვიზე უნდა აეწყოთ აბა? ჩემი პიესაა, მე დავწერე. მეც შენ დაგწერე.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აბა შენ დაწერე? შენ ხომ არ დამიწერე? იქნებ მართლა შენ დაწერე?!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არ იქნება აქ პოლიტიკა! პირობას გაძლევ! ან შენ არ იქნები ან მე. შენ ისედაც არ ხარ, მე მოგიგონე. აგერ განახებ ახლა, ვინ იქნება. მე თუ შენ!

გია სალაძე - რეჟისორი

(ხმამაღლა). რას ნიშნავს პოლიტიკას ვტენი? რა ტონია, რა ლაპარაკია ეს?

გია სალაძე - რეჟისორი

პოლიტიკა არის მთავარი აქ. შენ თუ არ გაინტერესებს პოლიტიკა, მაყურებელს აინტერესებს. შენზე ვერ ავეწყობით.

გია სალაძე - რეჟისორი

მე არ ვარ არაფერი? შენ ვინ გგონია შენი თავი? შენ მართლა ხომ არ გგონია, რომ ეს პიესა შენ დაწერე?

გია სალაძე - რეჟისორი

მე რო არ ვყოფილიყავი აქ, იქნებოდი მართლა დაკარგული საკუთარ ფურცლებში!

გია სალაძე - რეჟისორი

მე რომ არ ვიყო, შენგან არაფერი არ იქნებოდა, მე ვარ ვინც გჭირდები და ჩემს გარეშე არარაობა ხარ! პერსონაჟებში დაკარგული მწერალი!

(მწერალი ჩქარი ნაბიჯით გადის. უფრო ჩქარი ნაბიჯით მას რეჟისორი მიჰყვება, სიტყვებით: პერსონაჟებში დაკარგული მწერალი ხარ! მათი კამათი, თუ გნებავთ ჩხუბი კულისებში გრძელდება: მთელი ამ ხნის განმავლობაში მსახიობები ანი სულაძე და გოჩა მელია სულგანაბულნი ისხდნენ. კულისებიდან კი რეჟისორის და მწერლის ჩხუბის ხმები ისე ისმის, როგორც კულისებიდან უნდა ისმოდეს: შორიდან, დაგუდულად, აბდაუბდად. ეს სიტყვებია:

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ახლა შენ მომისმინე, ბიჭო, შენ მე თვალში ხო არ გეპატარავები!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვის ელაპარაკები შენ ეგრე, შენ მართლა ბიჭო! მაიმუნი ხარ და მაიმუნად დარჩები, შე მართლა მაიმუნო!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ხელი გაწიე, ბიჭო, ხელი მეთქი, თორე მაგ სპექტაკლს გაგიკეთებ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

დაიჩოქე შე მაიმუნო, შენ მე გაჩვენებ მსახიობებთან ბლატაობას...

გია სალაძე - რეჟისორი

ძველი ბიჭი ხარ თუ მწერალი ხარ, შენ მართლა ბიჭო!

გია სალაძე - რეჟისორი

ვინ არის შენი მაიმუნი შე მართლა მაიმუნო! შენ მე მართლა გია სალაძე ხო არ გგონივარ, შენი...

გია სალაძე - რეჟისორი

ხელი მეთქი, ბიჭო ხელი!

გია სალაძე - რეჟისორი

მეტკინა, მეტკინა შენი... ვისა, ბიჭო... აბა მოდი აქ..!

(კულისებიდან გვესმის მძიმე ხმა: დავარდნის, დარტყმის, ჩამოვარდნის, რაღაც ამდაგვარის. ამის შემდეგ, კულისებში სიჩუმეა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულისებიდან სიჩუმე ისმის. მსახიობები ანი სულაძე და გოჩა მელია ჩუმად სხედან. პაუზის შემდეგ დუმილს გოჩა მელია არღვევს).

გოჩა მელია - მსახიობი

ანი, აბა, მოდი, ასე დადექი, და წარმოიდგინე, რომ ტელევიზორში გამოდიხარ. წამყვანი გეკითხება, რომ რა არის თქვენი სამოქმედო გეგმა და ამ დროს, შენ პასუხობ... „უსასრულოდ განვითარებული მაქვს წინათგრძნობა...“ და მერე დარბაზში იყურე.

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშში აჰყვება). უსასრულოდ განვითარებული მაქვს წინათგრძნობა და ვიცი, რომ პოლიტიკოსობა ადრე თუ გვიან მოდაში შემოვა.

გოჩა მელია - მსახიობი

გააგრძელე... „მე არც ცნობილი კუტიურიე ვარ და არც...“

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშში აჰყვება). მე არც ცნობილი კუტიურიე და არც გამოჩენილი პრომოუტერი ვარ.

გოჩა მელია - მსახიობი

უფრო გრძნობით, მეტი ემოცია... მე შემომხედე...

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშში აჰყვება). ამიტომაც, ობიექტურად, მაქვს იმის უფლება ვივარაუდო, რომ გავა ხანი და პოლიტიკოსობა მოდური გახდება.

გოჩა მელია - მსახიობი

პოლიტიკოსები დაიპყრობენ თეატრს, ტელევიზიას, ქუჩას. ჩემკენ წამოდი...

ანი სულაძე - მსახიობი

პირველ რიგში ინტელექტუალებს, მემარცხენე, მემარცხენე ცენტრისტებს, ცენტრისტებს, მემარჯვენეებს და ულტრა მემარჯვენეებს.

გოჩა მელია - მსახიობი

იმიტომ რომ საზოგადოებას ყველაფერ ახალს და საინტერესოს პოლიტიკოსები სთავაზობენ.

ანი სულაძე - მსახიობი

ეს ფენა, პოლიტიკოსები, ჩვენი ქვეყნის მომავალს ემსახურება, მის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ სივრცეს ქმნის და ევროპაში გვიხსნის კარს. იმიტომ, რომ ევროპა კულტურაა, სოციალური თანასწორობაა, ძლიერი ეკონომიკაა, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნება...

(მონოლოგის ბოლოს ანი და გოჩა ერთმანეთის პირისპირ დგანან. ჩახუტებულნი, ეს-ესაა ერთმანეთს უნდა აკოცონ.

სცენაზე შემოდიან მწერალი მალხაზო ქუმსალია და რეჟისორი გია სალაძე. შემოდიან ისე, ვითომ არაფერი მომხდარა).

გია სალაძე - რეჟისორი

(მსახიობებს). მე და მალხაზო... ჩემი სახელით... მალხაზო თავისას იტყვის... ბოდიში, ავღელდი... ეს მეტი არ განმეორდება.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ჩათვალეთ, რომ შემოქმედებითი კამათი იყო... ზედმეტი მოგვივიდა... მე პატივს ვცემ გია სალაძეს. არა ერთხელ მითქვამს. ვერ მოვზომე... ისა... მე დაგტოვებთ...

გია სალაძე - რეჟისორი

არა, არა... აქ უნდა იყო... შენს გარეშე, მე უარზე ვარ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ხელი არ შეგიშალოთ...

გია სალაძე - რეჟისორი

ხელი როგორ უნდა შეგვიშალო, შენი პიესაა..

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ჰო, მაგრამ...

გია სალაძე - რეჟისორი

არავითარი მაგრამ... დავიწყოთ... აქ იქნები, ჩემს გვერდით, ხომ იცი, როგორ პატივს გცემ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(რეჟისორს გადაეხვევა). თუ არ იშლი...

რეჟისორი - გია სალაძე

(მსახიობებს ხელთ ანიშნებს, რომ რეპეტიცია განაგრძონ. მსახიობებს). სასიყვარულო სცენაა. აქ მაყურებელი უნდა მიხვდეს, რომ ერთმანეთი გიყვართ.

გოჩა მელია - მსახიობი

(თამაშს განაგრძობს). ბავშვობაში დედაჩემი ფერად ბატი-ბუტს ყიდულობდა ხოლმე.

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშში აჰყვება). ბოშები ყიდნენ ბატი-ბუტს, მეც მახსოვს.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). აქ უნდოდა ეთქვა, შენ უკეთ თამაშობდიო, მაგრამ ვერ თქვა.

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად თავს უკრავს).

გოჩა მელია - მსახიობი

(რეპეტიციას განაგრძობს). ვარდისფერი ბატი-ბუტი იყო.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). აქ უნდოდა ეთქვა, შენ უკეთ გამოგდისო, მაგრამ ვერ თქვა.

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად კვლავ თავს უკრავს).

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშს განაგრძობს). ბურთივით მრგვალი.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). უნდოდა ეთქვა, თვალს ვერ გწყვეტდიო, მაგრამ ვერ თქვა.

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად კვლავ თავს უკრავს).

გოჩა მელია - მსახიობი

(თამაშს განაგრძობს). საშინელი გემო ჰქონდა.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(რეჟისორს გადაულაპარაკებს). აქ უნდოდა ეთქვა, მიყვარხარო, მაგრამ ვერ თქვა.

(რეჟისორი გია სალაძე თანხმობის ნიშნად თავს უკრავს).

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშში აჰყვება). ნამცეცები კბილებში მეჩხირებოდა.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). აქ უნდოდა ეთქვა, მეც მიყვარდები და მეშინიაო და ვერ თქვა. არის აქ პოლიტიკა? არ არის.

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად კვლავ თავს უკრავს).

გოჩა მელია - მსახიობი

(თამაშს განაგრძობს). ხელებზე მეწებებოდა.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). უნდოდა ეთქვა, რომ შენთან შეხვედრას ველოდებიო, მაგრამ ვერ თქვა).

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად კვლავ თავს უკრავს).

ანი სულაძე - მსახიობი

(თამაშს განაგრძობს). თუ მალე არ შეჭამდი, იფშვნებოდა.

რეჟისორი - გია სალაძე

(მწერალს გადაულაპარაკებს). უნდოდა ეთქვა, არსად არ გაგიშვებო, მაგრამ ვერ თქვა.

(მწერალი მალხაზო ქუმსალია თანხმობის ნიშნად კვლავ თავს უკრავს).

მეთერთმეტე სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

სცენაზე შემორბის მწერალი მალხაზო ქუმსალია, ერთმანეთს მიკრულ ანის და გოჩას უხეშად განაცალკევებს. სცენაზე მხოლოდ მწერალი და მსახიობი რჩება. სცენა ახლა მწერლის სამუშაო ოთახია.

ანი სულაძე - მსახიობი

ჩემგან რა გინდა?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვინ მოგცა ეგ ტექსტი? ვინ გითხრა, ეგრე ითამაშეო? ვინ?

ანი სულაძე - მსახიობი

არ მჯერა.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვინ?!

ანი სულაძე - მსახიობი

სამკურნალო ხარ.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

პოლიტიკური პიესის დაწერა რომ მინდოდეს, უშენოდაც დავწერდი, ანი სულაძე რაში დამჭირდებოდა?! ეს პიესა სულ სხვა რამეზეა. არაფერ შუაშია პოლიტიკა. ყველგან პოლიტიკას რატომ ტენით, ყველას პოლიტიკა რატომ გაინტერესებთ? გამაგებინეთ.

ანი სულაძე - მსახიობი

შეგეშინდა?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ეს პიესა ადამიანზეა, რომელიც თავის თავშია დაკარგული, მწერალზეა, რომელსაც რაღაცის თქმა უნდა. ეს „რაღაცა“ პოლიტიკა არ არის. პოლიტიკა ტელევიზორშია. მე სხვა რამე მაინტერესებს. მე მინდა გავიგო, როგორ ხდება სამყაროში ისე, რომ ერთ და იგივე ფაქტი ადამიანებს სხვადასხვაგვარად ესმით. როგორ ხდება ისე, რომ ერთისთვის რაღაც ხდება და სხვისთვის ეს არ ხდება. მინდა ავხსნა, რატომ ესმის ერთ ადამიანს ასე და მეორე ადამიანს საპირისპიროდ, როდესაც ერთი ამბავი ხდება. ერთი მოვლენა, ერთი ფაქტი, გამიგე?!

ანი სულაძე - მსახიობი

რა გაყვირებს?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

სადამდე მივედით...

ანი სულაძე - მსახიობი

ისევ, უიღბლო ადამიანებამდე მივედით.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მეოთხე უიღბლო რაღაცას გააკეთებს და პირველი უიღბლო აგინებს მეორე უიღბლოს, მეორე უიღბლო აგინებს მესამე უიღბლოს, მესამე უიღბლო აგინებს პირველ უიღბლოს და მეოთხე უიღბლომ არ იცის, რომ პირველი, მეორე და მესამე უიღბლოები ერთმანეთს აგინებენ იმიტომ, რომ მეოთხე უიღბლომ რაღაც გააკეთა! ამ დროს მეოთხე უიღბლო იწყებს ყველას გინებას და ამბობს, რომ მას ეს არ გაუკეთებია, მაგრამ ოთხივეს ჰგონია, რომ მეოთხე უიღბლომ ოთხი სხვადასხვა რაღაც გააკეთა. და მერე, ოთხივე უიღბლო ადამიანი ერთმანეთს ხვდება და ვითომ არაფერი მომხდარა!

ანი სულაძე - მსახიობი

რეჟისორს მოკითხე.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

როგორ ხდება ისე, რომ ერთი და იგივე ფაქტი ერთი უიღბლოსთვის არ მომხდარა, მეორე უიღბლოსთვის მოხდა, მესამე უიღბლოსთვის მოხდა, მაგრამ არ მომხდარა და მეოთხე უიღბლოსთვის სულ ერთია, მოხდა თუ არა, იმიტომ, რომ ამ ფაქტის მთავარი გმირი მეოთხე უიღბლოა და ეს მეოთხე უიღბლო ამბობს, რომ ის არ არის. მაგრამ სინამდვილეში ის არის, მეოთხე.

ანი სულაძე - მსახიობი

ეჭვიანობ? (მოეხვევა, კოცნას უპირებს).

(მწერალი მსახიობს ხელს კრავს, თავიდან იშორებს).

ანი სულაძე - მსახიობი

შენ ტექსტებს ვთამაშობთ ყველა, აიღე და დაწერე, რომ ანი სულაძეს გული მარტო იმიტომ ამოაჭერი, რომ ჟანრის შეცვლა გადაწყვიტე, დეტექტივი გინდოდა და ორი პერსონაჟი დაამატე პიესაში, რომლებიც მკვლელობას იძიებენ, არა და, შენივე მოგონილი ანი სულაძე ცოცხალია.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვინ გითხრა ეგ?

ანი სულაძე - მსახიობი

მიპასუხე, როგორ ხდება ისე, რომ მე მოვკვდი, და ამ დროს თეატრში რეპეტიცია მაქვს? მიპასუხე, რატომ გაჩუმდი? თუ მომკალი, როგორ მაქვს რეპეტიცია? რას გაჩუმდი? დაიბენი? ვეღარ წერ? მუზა დაკარგე?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

შენ მიშლი ხელს. ახლა მივხვდი, შენ ხარ ზედმეტი. შენ ხარ ამ სპექტაკლში ზედმეტი პერსონაჟი. შენ არც მოტივაცია აქვს, არც რამის გამოცვლის სურვილი და არც წინააღმდეგობა შეგხვდა. შენ ხარ როგორც ყველა, არაფრით გამორჩეული უიღბლო. ახლავე წაგშლი.

ანი სულაძე - მსახიობი

მაშინ მითხარი, როგორ გაქვს სექსი შენს მოგონილ პერსონაჟთან? ანი სულაძეს მწერალთან სექსი აქვს, იმ მწერალთან, ვინც მოიგონა ანი სულაძე. დაწერე, ამაზე დაწერე, თუ წერა შეგიძლია.

(მწერალი ყურადღებას არ აქცევს. საწერ მაგიდასთან მიდის, ფურცლებს იღებს, ეძებს. უხეშად ფურცლავს, ნაწერებს სწრაფად თვალს ავლებს).

ანი სულაძე - მსახიობი

შენს ფსიქოლოგთან გაიარე შენი შიშები? უთხარი, რომ გარეთ გასვლის გეშინია, იმიტომ, რომ ვინც შენ შექმენი, ისინი შენს წინააღმდეგ წავლენ? უთხარი, რომ ყველაფრის კონტროლის მანიაკური სურვილი გაქვს? უთხარი, რომ სუფთა ფურცელი შენი სათამაშო მოედანია, იქ ღმერთიც ხარ და მოციქულიც? უთხარი, რომ სიცარიელიდან პერსონაჟებს ქმნი და მერე პერსონაჟებით ისე თამაშობ, როგორც გინდა, რომ ყველა და ყველაფერი აკონტროლო? უთხარი, რომ დედამიწა შენს გარშემო უნდა ტრიალებდეს და როგორც შენ გინდა, ისე უნდა აღიქვას ყველამ ყველაფერი? პირველი უიღბლოც შენ ხარ, მეორე უიღბლოც შენ ხარ, მესამე უიღბლოც შენ ხარ და მეოთხე უიღბლოც შენ ხარ. მთლიანად უიღბლო ხარ.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მორჩა, გიპოვე. (ანისთან ახლოს მიდის) აი, შენი თეატრი, შენი საოცნებო როლი, შენი ახალი შეყვარებული, შენი გული, შენი მშობლები, შენი ყველაფერი... (ფურცლებს ხევს).

(მწერალი სცენაზე მარტო რჩება).

მეთორმეტე სურათი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ანი სულაძე - მსახიობი

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ჯანგო სულაძე - ანის დედა

გამომძიებელი და კრიმინალისტი დარბაზში შემოდიან.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

შენ იცი, რით განსხვავდება სამოთხე ჯოჯოხეთისგან?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(გზადაგზა მაყურებელს ფოტოს უღებს). ჩემი საძინებლის კედელი მეზობლის სამზარეულოს ემიჯნება და საერთოდ აღარ მძინავს. დილით ადრე მეღვიძება, მთელი ღამე მოშვებული ონკანის ხმა მესმის. ჭურჭელს რეცხავენ, თუ რა არის...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

იყო ერთი სამურაი, ვაჟკაცი, მებრძოლი სამურაი. ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში და ერთი კითხვა აეკვიატა. აინტერესებდა, რით განსხვავდებოდა სამოთხე ჯოჯოხეთისგან. იცოდა, გაგონილი ჰქონდა, რომ სამოთხე კარგია და ჯოჯოხეთი ცუდი, მაგრამ რა სხვაობა იყო მაგათ შორის - არ იცოდა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

თეფშებს ალაგებენ, მაცივრის კარი იღება-იკეტება, იღება-იკეტება, საუზმეზე რა აქვთ საჭმელი - ყველაფერი ვიცი. თუ გვიან ჭამენ, რას ჭამენ ისიც ვიცი. ბოდიში, გაგაწყვეტინეთ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჰოდა...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სამზარეულოში რომ ლაპარაკობენ ყველაფერი მესმის. ნივთი ერთი ადგილიდან სხვაგან რომ გადადონ, ეგეც მესმის. აუტანელია უკვე, ღამეები არ მძინავს. რას ამბობდით? სამურაი იყოო?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჰოდა, ამ ვაჟკაც სამურაის მიასწავლეს ერთი ბრძენი კაცი, უთხრეს, იმან ყველაფერი იცის, იმას ჰკითხეო.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ბოდიში, რა უნდა ეკითხა? გამომრჩა. ადრე მსგავსი პრობლემა არ მქონია, იქ გოგონა ცხოვრობდა და ალბათ ისეთი რეჟიმი ჰქონდა, რომ ვერ ვემთხვეოდით, ახლა კი, ოჯახია გადმოსული და ფაქტობრივად, ერთად ვცხოვრობთ. გისმენთ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

უნდა ეკითხა, რა განსხვავებაა სამოთხეს და ჯოჯოხეთს შორისო.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ა, ჰო, ჰო... გისმენთ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

წავიდა სამურაი ბრძენ კაცთან. მივიდა და ჰკითხა: ბრძენო კაცო, მითხარი, რით განსხვავდება სამოთხე ჯოჯოხეთისგანო. ბრძენმა კაცმა, რომ მოისმინა სამურაის კითხვა, უთხრა, შენისთანა ბრიყვისთვის პასუხის გაცემა არც ღირსო. გაბრაზდა სამურაი...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

გაბრაზდებოდა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

...სისხლმა ტვინში აასხა, ამოიღო კატანა და ის იყო თავი უნდა წაეცალა ბრძენკაცისთვის, რომ ბრძენმა უთხრა: აი, ეგ არის ჯოჯოხეთიო. დაფიქრდა სამურაი, შეხედა თავის თავს გვერდიდან და მიხვდა, რომ მართალი იყო ბრძენი. იფიქრა, აი, თურმე რა ყოფილა ჯოჯოხეთიო. მოერიდა, თვალზე ცრემლი მოადგა და ბრძენკაცს მოუბოდიშა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

რაც უფრო ძველია ცივილიზაცია, მით უფრო მეტი მორწმუნეა ქვეყანაში. სტატისტიკის მიხედვით სამოთხის და ჯოჯოხეთის არსებობა ადამიანების ოთხმოცდაშვიდ პროცენტს სჯერა. აქედან, სამოცდასამ პროცენტს იმედი აქვს, რომ სამოთხეში მოხვდება. დარჩენილ ოცდაჩვიდმეტ პროცენტს ჰგონია, რომ ჯოჯოხეთში მოხვდება, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ ოცდაჩვიდმეტი პროცენტიდან ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს სჯერა, რომ იქ მოხვედრას არ იმსახურებს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

შეხედა ბრძენმა თვალცრემლიან სამურაის, ჩახედა თვალებში და უთხრა, აი ეს არის სამოთხეო.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ჰმ... შეიძლება კედლის იზოლაციის გაკეთება, ან სხვა რამე? მოგსვლიათ ასეთი შემთხვევა? ძალიან დამეხმარებოდა რჩევა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(გაბრაზებული, რომ მისმა მონათხრობმა აღფრთოვანება არ გამოიწვია). ახლა, კატანა რომ მქონდეს...

(გამომძიებელი და კრიმინალისტი სცენაზე ადიან, სადაც მსახიობი ანი სულაძე და მისი მშობლები არიან. რეპეტიციაა. ალბერტ სულაძე სცენის შუაგულში დგას, ხოლო ჯანგო სულაძეს ხელში სამურაის კატანა უჭირავს. ეტყობა, რომ კატანის მოქნევის შემდეგ, ალბერტ სულაძის თავი უნდა გაძვრეს. ისმის დრამატული მუსიკა.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ამ სცენაში გამომძიებელი და კრიმინალისტი მსახიობ ანი სულაძეს ვერ ხედავენ. იგი მათთვის მკვდარია, რადგან მწერალმა წინა სცენაში სიცოცხლეს გამოასალმა. სამაგიეროდ, ხედავენ მშობლები და მაყურებელი. ამიტომ სცენა ისე უნდა აეწყოს, რომ ეს დეტალი მაყურებლის მიერ დამაჯერებლად იქნეს აღქმული).

ანი სულაძე - მსახიობი

(წარმოსახვით მაყურებელს მიმართავს). კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „აკრობატების თეატრში“. მე ანი სულაძე გახლავართ. დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული დღეა, რადგან დღევანდელი სანახაობა მსოფლიოში უნიკალური სანახაობაა. თქვენ ნახავთ...

(კრიმინალისტი ფოტოს უღებს ანის მშობლებს. გამომძიებლის და კრიმინალისტის დანახვაზე რეპეტიცია ჩერდება).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(გამომძიებელს). ფული რამდენი აქვთ გადანახული ისიც ვიცი. მეტიც, სადაც ინახავენ ისიც ვიცი. მაცივრის უკან... „სკოჩით“ აქვთ მიწებებული. ამ მაცივარს კვირაში ერთხელ გამოწევენ, მიადგამენ, გამოწევენ, მიადგამენ. (შენიშნავს, რომ მსახიობებმა რეპეტიცია შეწყვიტეს. ალბერტ და ჯანგო სულაძეებს ესალმება. ანი სულაძეს ვერ ხედავს. გამომძიებლისკენ მიუთითებს). თენგულა ასათიანი, ქალაქის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი გამომძიებელი, მე ბისმარკ კაპანაძე, ამავე სამმართველოს ექსპერტ კრიმინალისტი ვარ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

თქვენ ალბათ უკვე... თუმცა... თქვენი ქალიშვილი... იცით, ალბათ...

(სცენაზე შეწყვეტილი რეპეტიციის მონაწილენი - ალბერტ, ჯანგო და ანი სულაძეები გამომძიებლებს ხმის ამოუღებლად უსმენდნენ).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ვიზიარებთ ბატონო ალბერტ, ქალბატონო ჯანგო...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჩვენ გვეგონა, რომ უკვე იცოდით.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, მშობელთა ოცდასამი პროცენტი შვილის გარდაცვალებას არ იჯერებს. ამ ოცდასამი პროცენტიდან ნახევარზე მეტი, ორმოცდათხუთმეტი პროცენტი თვლის, რომ მათი შვილი ცოცხალია, დანარჩენ ორმოცდახუთ პროცენტს მიაჩნია, რომ თვითონ, ანუ მშობლები გარდაიცვალნენ, შვილები კი ცოცხლები არიან.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

მე განათლებით ეკონომისტი ვარ. თვლა და მათემატიკა მიყვარს. ეს ზუსტი მეცნიერებაა. ჯანგო, სტუმრებს ასე ხელცარიელი ხომ არ დავხვდებით?

ჯანგო სულაძე - დედა

მომიკვდეს თავი. ახლავე ხაჭაპურს გამოვაცხობ. (ხელის ერთ მოქნევით სუფრას შლის).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჩვენ საქმეზე ვართ მოსული.

(კრიმინალისტი ბისმარკ კაპანაძე ფოტოებს იღებს).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

აი, მე თქვენ გეკითხებით, შეიძლება ჩემი პროფესიის ადამიანმა თეატრი გახსნას, შეიძლება თუ არ შეიძლება? დაბრძანდით...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

თქვენ, ალბათ, მათემატიკა გეხმარებათ.

ჯანგო სულაძე - დედა

რაში უნდა დაეხმაროს მათემატიკა? გამოთვლას ახლა ნებისმიერი ტელეფონი გააკეთებს.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ხაჭაპურს ფოტოს იღებს). თქვენ გამოაცხვეთ?

ალბერტ სულაძე - ანის მამა

რას დალევთ, კონიაკს? (ხელის ერთი მოძრაობით კონიაკს გამოაჩენს და სტუმრებს სასმისებს უვსებს).

(გაკვირვებული კრიმინალისტი კონიაკს ფოტოს უღებს).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

არც კი ვიცი, იცით თუ არა, რომ თქვენი ქალიშვილი... ანი სულაძე...

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ანის ხელს ჰკიდებს, სტუმრებთან მიჰყავს). არ მიჯერებს. ვეუბნები, რომ მაგ თეატრში არ მიხვიდე-თქო. აი, არ მიჯერებს. მიირთვით, მიირთვით.

ჯანგო სულაძე - დედა

მამამისი გადამკვდარია მაგაზე, დღე და ღამე მუშაობს, რომ წესიერი განათლება მისცეს. მე და მამამისმა ეს თეატრიც მაგიტომ გავაკეთეთ, რომ ბავშვობიდან თამაში და თეატრი უყვარს. რას არ ვიგონებთ, რა ტრიუკებს არ ვიმეორებთ, რომ რაღაცნაირად...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(მსახიობ ჯანგო სულაძეს). შეიძლება ეს ხაჭაპურის ილეთი კიდევ ერთხელ რომ გაიმეოროთ? გადაღება ვერ მოვასწარი.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ვიფიქრეთ, გაერთოს ბავშვი, არაფერი დაშავდება, მერე მობეზრდება და გადაუვლის-თქო, ნორმალურ საქმეს ეწევა-თქო, მაგრამ, რად გინდა!

ჯანგო სულაძე - დედა

არ მომწონს მე, ეგ თეატრი. ათასჯერ ვუთხარი, რომ არ მივიდეს მანდ. (უცნაურ ხრიკს იმეორებს და სუფრაზე კიდევ ერთი კერძი გაჩნდება).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ფოტოს იღებს. ფანდით აღფრთოვანებული). და ეს თქვენ... წარმოუდგენელია... ასე მარტივად...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბატონო ალბერტ, ქალბატონო ჯანგო, მე მწუხარებით მინდა შეგატყობინოთ, რომ...

ალბერტ სულაძე - ანის მამა

კარგია, რომ მოხვედით. (ანის ხელს არ უშვებს). უთხარით, თქვენ თვითონ, რომ არ შეიძლება თეატრის გაკარება. (ანის). მაინც და მაინც გამომძიებელი უნდა მოსულიყო?

ჯანგო სულაძე - დედა

ჯერ ერთი, მთელი ცხოვრება როლს უნდა ელოდოს. რეჟისორი დაგაკავებს თუ არ დაგაკავებს, იმაზე უნდა იყო დამოკიდებული? მე არ ვიცი, რა არის ეგ?!

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(კონიაკს მოსვამს). მმ-მ... სომხურია?

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ამდენი მსახიობია ისედაც, ამდენი უმუშევარი... (კრიმინალისტს). სომხებმა კონიაკის გაკეთება ჩვენგან ისწავლეს!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბატონო ალბერტ, ქალბატონო ჯანგო, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. თქვენი ქალიშვილის მკვლელობის საქმეს ვიძიებ.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(ანის). დავუშვათ და მოგცეს როლი და არ მოგეწონა. უარს ეტყვი?! ვერა, არ შეიძლება! რაც არ უნდა იყოს, უნდა ითამაშო. გინდა ეს თუ არა. (გამომძიებელს). საქმეა ეს? გამაგებინეთ!

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ანიზე მიუთითებს). უთხარით, თქვენც. უთხარით. (ანი სულაძეს, რომელიც ხელიდან დაუსხლტა). მოდი აქ, რას დგახარ მანდ, მოუსმინე, ჭკვიანურს გეტყვიან რაღაცას!

ანი სულაძე - მსახიობი

აბა, რა გინდათ, მეც ეკონომისტი გამოვიდე? თუ ხაჭაპურები ვაცხო? არ მინდა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს ვერ გეტყვით, მოგეხსენებათ, მძიმე შემთხვევა მოხდა, ტრაგიკული... მე ვიტყოდი... ჩვენ მკვლელთან ერთად ანის სხეულის ნაწილსაც ვეძებთ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, მძიმე კრიმინალური შემთხვევების სამოცი პროცენტი ჩვენი დეპარტამენტის მიერ გამოძიებულია. მათ შორის თერთმეტი პროცენტი პირველი კვირის განმავლობაში. იმედი ვიქონიოთ...

ჯანგო სულაძე - დედა

მერე, არ მინდოდა მეთქვა და ვიღაც ბიჭს გადაეყარა, მსახიობია ისიც. (გაჯავრებით). მიყვარს! (ანის). ასე უცბად შეყვარება მე არ გამიგია.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

რა თქვი? უყვარს?!

ჯანგო სულაძე - დედა

კარგი, ახლა არ დაიწყო!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ეს კატანა, საიდან გაქვთ?

ჯანგო სულაძე - დედა

ახალი ნომერს ვამზადებთ. ეს ცნობილი ფრანგი ილუზიონისტის მიშელ პეტროსიანის ტრიუკია. ასე, კატანას კისრის ზოლზე გამართავ, მოიქნევ და თავი იჭრება. მერე, ამ თავს მაყურებელში გაიტან და ამასობაში, სანამ მაყურებელი მოჭრილ თავს აკვირდება, ახალი თავი ამოდის.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მაცივარი გაქვთ? წყალს დავლევდი... (მაცივრის ძებნას იწყებს, გზად ფოტოებს იღებს).

ჯანგო სულაძე - დედა

ანი, შვილო, მოიტანე წყალი.

ანი სულაძე - მსახიობი

მოგიტანთ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ანის ვერ ხედავს). დერეფნის ბოლოს, ალბათ? (გადის).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ანი, შვილო, დაჯექი, მოდი, შენზეა ლაპარაკი.

(ანი მაგიდასთან ჯდება).

ჯანგო სულაძე - დედა

მე პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ექიმად არასდროს მიმუშავია. რაც ანი გაჩნდა, მის მერე ექიმად ვმუშაობ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ანი სულაძე, ხომ თქვენი შვილია? (ფოტოს აჩვენებს).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ფოტოს უყურებს). კვირაში ერთხელ წარმოდგენა გვაქვს.

ჯანგო სულაძე - დედა

(ფოტოს აკვირდება). ანია, კი...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

დიახ, თქვენი ქალიშვილია. რაც არ უნდა მძიმე იყოს თქვენთვის ამის მოსმენა, ვალდებული ვარ, გითხრათ. ანის გული ამოაჭრეს. მისი სიკვდილის მიზეზი ეს არის.

(ალბერტ და ჯანგო სულაძეები ხმამაღლა იცინიან).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

მკვლელი მისი ნაცნობია. ანი მას კარგად იცნობდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ანის სახლიდან არაფერია დაკარგული. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვვარაუდობთ. ფული ადგილზეა. მანქანის გასაღები ადგილზეა. როდის ნახეთ ანი ბოლოს?

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(სიცილით). კონიაკი არ გაწყენდათ...

ჯანგო სულაძე - დედა

ვაიმე დედა... მგონი უკვე ნასვამია.

გამომძიებელი - თენგულა ასათიანი

მე მესმის, რომ ეს მძიმე სანახავია, მაგრამ აქ...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ბრუნდება). ანის ოთახი შეიძლება დავათვალიერო?

ჯანგო სულაძე - დედა

ანი, შვილო, აჩვენე შენი ოთახი.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ანის ფოტოზე მიუთითებს). ანი, ეს შენ ხარ? უკვე კინოში გიღებენ? (გამომძიებელს) ეს ალბათ, კინოდან არის.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(კრიმინალისტი სცენის სხვა მხარეს გადის). დავათვალიერებ... თქვენის ნებართვით. (გზად ფოტოებს იღებს).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(ფოტოზე მიუთითებს). კარგად დააკვირდით?

ჯანგო სულაძე - დედა

თეატრი არ გვაკლდა, ახლა კინოც მოინდომა.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

სამწუხაროდ, ანის სხეული მორგშია.

(ანის მშობლები ხმამაღლა იცინიან).

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ახლა მივხვდი! თქვენ გამომძიებელი კი არა, თეატრიდან ხართ. ახლა მივხვდი.

ჯანგო სულაძე - დედა

ვიცოდი, ხომ გითხარი, თეატრის ხალხია-თქო. ხომ გითხარი.

ანი სულაძე - მსახიობი

მე ცოცხალი ვარ.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(ანის). ვინ მოგკლა შვილო, რა მოხდა, არ მეტყვი, მამა?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბატონო ალბერტ, ქალბატონო ჯანგო, მე მესმის თქვენი... (დგება, სავიზიტო ბარათს მაგიდაზე დებს). ეს ჩემი ტელეფონის ნომერია, აქ მისამართი წერია. იქნებ... განყოფილებაში მობრძანდეთ. დღეს საღამოს, ან ხვალ დილით. შეძლოთ... და ეს კატანაც წამოიღეთ...

ჯანგო სულაძე - დედა

(სიცილს წყვეტს). რას ნიშნავს კატანა წამოიღე? ჩვენი თეატრი თეატრი არ არის? მარტო თქვენი თეატრია თეატრი? მარტო თქვენ იცით რეჟისორობა? ჩვენს წარმოდგენებზე ბილეთს ვერ იშოვი, ბილეთები ერთი თვით ადრე არის გაყიდული.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ბატონო ვახტანგ, ეს უკვე აღარ არის სასაცილო.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(შეუსწორებს). თენგულა. თენგულა ასათიანი.

ჯანგო სულაძე - დედა

ჩვენ აქ სტუმარივით მიგიღეთ და თქვენ რაებს ამბობთ? კატანა წამოიღეთ! რა უნდა კატანას თქვენს ხელში? თფუ. გაგონებაც არ მინდა მაგისი. რა ხუმრობაა ეს?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(სწრაფად შემოდის). ხვალ ნუ გადააცილებთ. სტატისტიკის მიხედვით, საქმის გახსნის ოთხმოც პროცენტი გარდაცვლილის ოჯახის დახმარებით ხდება. აქედან, ოცდაერთი პროცენტი...

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ძალიან გთხოვთ, მიბრძანდეთ აქედან.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბატონო ალბერტ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(გამომძიებელს ხელ-მკლავს მოჰკიდებს და დარბაზისკენ მიჰყავს). ხვალ გელოდებით.

(სცენაზე ანი და მშობლები რჩებიან. სცენა ბნელდება. გამომძიებელი და კრიმინალისტი პარტერში ჩამოდიან).

მეცამეტე სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

საკანი. მწერალი საკანში ზის. შემოდის ანი სულაძე. მათ გისოსები ყოფთ.

ანი სულაძე - მსახიობი

შენ არ დაწერე ეს ყველაფერი? ხომ მოკალი ანი სულაძე? მე ხომ მკვდარი ვარ? ხომ მითხარი, რასაც მინდა იმას ვიზამო, თავისუფალი ვარო, მე ვქმნი სამყაროსო. ღმერთი ვარო... ასე არ ამბობდი? რას მიყურებ? გამოდი აბა, თუ შეგიძლია.

(შემოდიან გამომძიებელი თენგულა ასათიანი და კრიმინალისტი ბისმარკ კაპანაძე. მსახიობ ანი სულაძეს ვერ ხედავენ. მწერალი საკნიდან გამოჰყავთ. დაკითხვის დროს, კრიმინალისტი ფოტოებს იღებს).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(მსახიობ ანი სულაძეს). შენ არ არსებობ. შენ ჩემს თავში ხარ, თეთრ ფურცელზე. წაგშალე უკვე!

ანი სულაძე - მსახიობი

...ყვიროდი, აი ეს თეთრი ფურცელი მე მელოდებაო. მოგცე? (ფურცელს გაუწვდის, მაგრამ არ აძლევს). რასაც შექმნი, რასაც დაწერ, რასაც ფიქრობ - შენია. დეტექტივი გინდოდა. მიდი, გამოიძიე.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ახლა შეამჩნევს გამომძიებლებს, რომლებმაც საკნიდან გამოიყვანეს). როგორც იქნა! სად არის ჩემი ტელეფონი, საფულე, ჩემი ნივთები. ვერ გავიგე, ქვეყანაა ეს, თუ ბოსელი?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

რამდენს ბაზრობ, ბიჭო... ე-ეე... მომხედე აქეთ!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რა უფლებით დამაკავეთ, არც ადვოკატი მომიყვანეთ. დარეკვის უფლება არ მომეცით. (გასასვლელისკენ ცდილობს წავიდეს).

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

დაეგდე, ბიჭო! (გზად გადაეღობება).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რას ნიშნავს? არ მიშვებთ? დაკავებული ვარ? მომიყვანეთ ჩემი ფსიქოლოგი. (მსახიობ ანი სულაძეს). ხედავ, ხედავ სადამდე მივედი?

ანი სულაძე - მსახიობი

შენ ხომ ჩვენი შემოქმედი ხარ. რა განერვიულებს?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(მსახიობ ანი სულაძეს). შენ მკვდარი ხარ.

(რადგან გამომძიებელი და კრიმინალისტი მსახიობ ანი სულაძეს ვერ ხედავენ, მალხაზის და ანის რეპლიკები მათთვის რბილად რომ ვთქვა - საკვირველია).

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

დაჯე, შე ბოზო...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

შენ იცი, ბიჭო, დამნაშავეთა სამოცდასამ პროცენტს ჩადენილი დანაშაული სამართლიანობის აქტი გონია, ოცდასამ პროცენტს გონია, რო თავს იცავდა, და „ვაბშე“ თოთხმეტ პროცენტს გონია, რო უსამართლობა იყო. შენ გონია, რომ რა გგონია?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რა მგონია, რა უნდა მეგონოს?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გოგო ვიპოვეთ, ბიჭიო, მკვდარი, ანი სულაძე, დანით იყო მოკლული, გული ქონდა ამოჭრილი. საწყალი სიმონ.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

აბა, სიმონ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

გული სად არის, შეჩემა.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

გული მოჯვი, ბიჭო!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

იცი რა მიკვირს... სისხლი რა უყავი ბიჭო, სად მოკალი, ბიჭო? სხვაგან დაბრიდე და მერე „ტრუპი“ იქ მიათრიე?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სად დაბრიდე, ბიჭო!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ყველას ვებაზრეთ, ყველას დავკითხეთ, ძმაო, ის კიკინიანი არტისტები, მაგის მშობლები... ვის აღარ ვებაზრეთ...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

დედიკო ტიროდა... საწყლები, სიმონ...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

შენ ნაბოზარო...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

დედა ტიროდა, სიმონ, საწყალი ქალი, სიმონ...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

აბა... საწყალი...

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

აბა...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ჟიმაობით, შენ და ანი, ბიჭო? საწყალი გოგო, ბიჭო?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

კი, ჟიმაობდნენ!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვინ გითხრათ ეგ? ანიმ? (ანის სულაძეს მიუტრიალდება). შენ უთხარი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სასტუმრო „თბილისში“, ბიჭო, გადაღებული გვაქ, სიმონ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(ტელეფონს სახესთან მიუტანს). გაჩვენო?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ანი სულაძეს). შენ ხომ ცოცხალი ხარ? უთხარი, რომ ცოცხალი ხარ და არ მომკვდარხარ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

შენმა ცოლმა, იცი რა გვებაზრა?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ცოლი არ მყავს...

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

არა და, რა ცოლი ყავს, სიმონ... შენ იცი, ძმაო რო შენი ცოლის ნაირი „ტიპშები“, ეგრევე ქმრებს ჭრიან ყველს, სიმონ, მაგარი გადარჩენილი ხარ, შე ახვარო. რას გვეუბნება ამ დროს სტატისტიკა?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

სტატისტიკის მიხედვით, მოტყუებული ცოლების ოცდაჩვიდმეტი პროცენტი ქმარს კლავს და არა საყვარელს.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

და დარჩენილი სამოცდასამი?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

დარჩენილი სამოცდასამი პროცენტი შემდეგ ნაირად იყოფა: ოცდაერთი...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

გიმეორებთ, ცოლი არ მყავს. თქვენ ჩემს ფსიქოლოგში გეშლებათ. (ანი სულაძეს). სასამართლოში ვარ?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბიჭო, ვის ელაპარაკები, სიმონ, აქა ვართ, ბიჭო!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ხედავთ? ეს გოგონა, ანი სულაძეა - მსახიობი, ვინც თქვენ მკვდარი გგონიათ, აქ არის, ცოცხალია, აქ დგას, თქვენს წინ. გაახილეთ თვალი და დაინახავთ. წარმოუდგენელია.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

შენ ბიჭო, ფანტაზიებში ცხოვრობ, ბიჭო, აქ ჩვენ სამნი ვართ. მეტი არავინაა. ვის ებაზრები?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აი, ანი სულაძე, აქ დგას. თქვენს წინ! რა გინდათ, რომ ჭკუიდან გადამიყვანოთ? ვერ ხედავთ, ახლა ამას? (ანი სულაძეს). უთხარი რამე, იქნებ მე გავგიჟდი და არ ვიცი?!

ანი სულაძე - მსახიობი

(თავისთვის). „...ოჰ, რა დიდებულს ჭკვა-გონებას ეწია ბნელი! სასახლის თვალსა, ენამჭევრსა, ვაჟკაცობით სრულს, იმედსა და ვარდსა ამ მშვენიერ სახელმწიფოსას, სამაგალითოს ზნეობის და ყოფაქცევისთვის!“

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

თქვენ არ არსებობთ! თქვენც ჩემი პიესის პერსონაჟები ხართ. მე ვარ მწერალი, მე ვწერ ამ პიესას. შენ, შენ და ეს გოგონაც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. ანის მშობლებიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, რეჟისორი და მსახიობები, ყველა ჩემი გამოგონილია. თქვენ არ არსებობთ, მე ვარ მხოლოდ ნამდვილი, მე! გასაგებია? ახლა კი, უნდა წავიდე, ფინალი მაქვს დასაწერი.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

(ფოტოს აჩვენებს). ეს ხო იცი, ვინც არის?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ეს ანი სულაძეა, რომელიც მე მოვკალი.

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

ა, აღიარა, ამ ახვარმა!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

(ფურცელს და კალამს აწვდის). აბა, მოდი, მოდი, მოაწერე ხელი...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

არა, არა... მოვკალი ჩემს პიესაში, რომელიც თეატრში უნდა დაიდგას. ახლა რეპეტიციები მიდის. ჰკითხეთ ვისაც გინდათ.

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

კი მაგრამ, „ტრუპი“ ხო იყო, ბიჭო, ჩემი თვალით ვნახე, ვის აშტერებ ბიჭო!

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

„ზნაჩიტ“, ანი სულაძე ცოცხალია?

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

და მარტო შენ შეხედავ, და ჩვენ ვერა?

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

აჰა, შენ ფურცელი, აჰა, შენ პასტა და დაწერე... აბა, გააცოცხლე, თუ ტრაკი გაქვს.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ახლა მივხვდი, თქვენ ყველამ მოილაპარაკეთ... ახლა მივხვდი... მოილაპარაკეთ, პირი შეკარით რომ მე ჩემივე ნაწერებში დავიკარგო... წაგშლით... წაგშლით ყველას!

მსახიობი - ანი სულაძე

ახლა ერთ გზა დაგრჩა, ჩემო საყვარელო მწერალო... მიდი, დაამტკიცე, რომ ნამდვილი მე კი არა, შენ ხარ!

მეთოთხმეტე სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მწერლის სამუშაო ოთახი. მწერალი მაგიდასთან მიდის და წერას იწყებს. შემოდის სულიკო აბასაშვილი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(წერას განაგრძობს). ყველაფერს დავალაგებ, ცოტა დრო მინდა.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ფინალი გაქვს დასაწერი. არავინ გამოგრჩეს... მსახიობები, რეჟისორი, აკრობატები, გამომძიებლები და რაც მთავარია, შენი ანი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი აღარ მყავს. მოკვდა. რა ვერ გაიგეთ?

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ანის გარეშე არ გამოგივა.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვნახოთ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

არა და, კარგი პერსონაჟია. ლამაზია, ახალგაზრდაა... მსახიობობა უნდა, მშობლების წინააღმდეგ წავიდა, მსახიობი ბიჭი შეუყვარდა...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ნუ იგონებ, რაღაცას!

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მე ვიგონებ? ყველა ამაზე ლაპარაკობს.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ვინ ყველა, ვინ ყველა!

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

რა გაყვირებს? მე უნდა ვყვიროდე აქ და არა შენ... მე უნდა ვიყო გაბრაზებული... მე უნდა ვთამაშობდე მაგ როლს და არა შენი საყვარელი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

აი, თურმე რა გაწუხებს. როლი გინდა.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(უფრო თავისთვის). ერთ ადგილას გაიკეთე ეგ შენი როლი.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რა თქვი? ეს სიტყვები მეცნობა. თქვენ რა, მოილაპარაკეთ? რატომ გინდათ, ჩემი სიტყვები ერთ ადგილას შემტენოთ? რო გკითხოთ, ყველას როლი გინდათ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

რა არ მოგწონს ჩემში? არა, შემომხედე, რა არ მოგწონს?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მითხარი, მითხარი, რომ როლი გინდა და დაგიწერ.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

ბოლოს როდის დამიწერე პიესა? როდის მათამაშე შენს სპექტაკლში? (პაუზის შემდეგ). მე არ შემეძლო, დამწყები მსახიობის როლის თამაში? მე არ შემეძლო, „აკრობატების თეატრში“ კონფერანსიე ვყოფილიყავი და ნამდვილ როლზე მეოცნება? მე არ შემეძლო, მწერლის საყვარელი გავმხდარიყავი და მშობლების წინააღმდეგ წავსულიყავი? არ შემეძლო?

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ახლა მივხვდი, ახლა მივხვდი... შენ გააცოცხლე ანი სულაძე... შენი ბრალია ყველაფერი.

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

მითხარი. ოცი წლის წინ, ასე არ მოხდა, ოცი წლის წინ, ასე არ გავაკეთე? ეს როლი ერთხელ უკვე ნათამაშები მაქვს... ახლა უკვეთ ვითამაშებდი!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

რატომ გააცოცხლე ანი? მითხარი, რა გინდოდა? მე ხომ ის მოვკალი!

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

იმიტომ, რომ მაინტერესებდა, რით იყო ჩემზე უკეთესი?!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ერთდროულად). ეჭვიანობ? არ მჯერა... ეჭვიანობ... რას წარმოვიდგენდი, რას ვიფიქრებდი, შენ რომ ჩემზე იეჭვიანებდი... (ხმამაღლა იცინის). ჩემი ცოლი ჩემზე ეჭვიანობს, რას მოვესწარი, როგორც იქნა - შემამჩნია, როგორც იქნა წამიკითხა, ჩემი ცოლი ჩემზე ეჭვიანობს...

სულიკო აბასაშვილი - ცოლი

(ერთდროულად). ანი სულაძე... სრულყოფილება... მშვენიერება... ნიჭიერება... სრულფასოვნება... მწერლის საოცნებო პერსონაჟი... მწერლის ალტერ ეგო... მებრძოლი და მოხერხებული... სამართლიანი და შრომისმოყვარე... მიზანდასახული და იღბლიანი... ისეთი, როგორიც გინდა იყო და არ ხარ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

მოვიფიქრე, ფინალი მოვიფიქრე! მე ხომ ჩემი საკუთარი პერსონაჟები ამიჯანყდნენ, ჩემს წინააღმდეგ წახვედით, მე მებრძვით და ახლა ჩემი სიკვდილი გინდათ, მივხვდი, ჩემი სიკვდილი გინდათ. კი ბატონო, თუ ჩემი სიკვდილი გინდათ, გექნებათ ჩემი სიკვდილი!

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

დღე და ღამე ანიზე ფიქრობ, ყოველ წუთს, ყოველ წამს შენი ფიქრი მაგ ქალითაა დაკავებული. აბა, მე შემომხედე, არა, შემომხედე! მე ვარ შენი ალტერ ეგო... მე ვარ მებრძოლი, მე ვარ მოხერხებული... მე ვარ სამართლიანი, მე ვარ შრომისმოყვარე, მე ვარ მიზანდასახული, მე ვარ იღბლიანი... მე ვარ ისეთი, როგორიც გინდა იყო და არ ხარ...

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ფინალი: მწერლის ცოლი, რომელიც ქმრის გულს ჩანთაში ინახავს. რას იტყვი, არ მოგწონს? რას მიყურებ? წარმოიდგინე, შენთან მოდის მსახიობი ანი სულაძე და ჩემს გულს გაწვდის და მერე, შენ, ამ გულს, ჩანთაში ინახავ.

სულიკო აბასაშვილი - ცოლი

(ერთდროულად). რატომ ვარ შენი ფსიქოლოგი? ერთ სცენაში ცოლი ვარ, მეორე სცენაში ფსიქოლოგი, დამათრევ ერთი სცენიდან მეორეში, შენ თვითონ ვერ გაგიგია, რა ფუნქცია მაქვს, რას ვაკეთებ, რაში გჭირდები! არ მინდა შენი ფსიქოლოგი ვიყო, შენი ცოლი ვარ, რა ვერ გაიგე! ცოლი!

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ერთდროულად). რატომ კითხულობ ჩემს ნაწერებს? ხომ იცი, რომ ვერ ვიტანო! ათასჯერ გაგაფრთხილე, რომ ნუ კითხულობ ჩემს ნაწერებს, სანამ არ მოვრჩები, სანამ არ დავამთავრებ, არ წაიკითხო ჩემი ნაწერები, ეგ მარტო ჩემია, სანამ არ დაიდგმება, მარტო ჩემია... შენ არ არსებობ!

(მძიმე სილას ურტყამს. მალხაზი ეცემა. სიჩუმეა).

სულიკო აბასაშვილი - მწერლის წარმოდგენაში - ცოლი

(აი, თუ არ ვარსებობ). რატომ მიძვრები სულში.

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

კარგია... მომწონს... მე ვკვდები, როგორც ნამდვილი მწერალი, საკუთარ ნაწერებში.

მეთხუთმეტე სურათი

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

ანი სულაძე - მსახიობი

გოჩა მელია - მსახიობი

გია სალაძე - რეჟისორი

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ჯანგო სულაძე - ანის დედა

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

თენგულა ასათიანი - გამომძიებელი

ბისმარკ კაპანაძე - კრიმინალისტი

მწერალი მაგიდასთან ზის. წერს. „აკრობატების თეატრის“ წარმოდგენაა. შემოდიან ანი, ალბერტ და ჯანგო სულაძეები.

ალბერტ სულაძე რკინის კონსტრუქციას მოაგორებს, ჯანგო სულაძეს კატანა უჭირავს.

ანი სულაძე - მსახიობი

ახლა კი, მსოფლიოში ცნობილი ილუზიონისტი, აკრობატი, ათლეტი, მოფარიკავე, მოცურავე, მოჯირითე და მებაირაღე ალბერტ სულაძე წარმოგიდგენთ ილეთს, სადაც ადამიანი საკუთარ გულს ისე ამოიღებს, რომ ერთ წვეთი სისხლი არ დაიღვრება. ამაში მას დაეხმარება მსოფლიოში ცნობილი ტანმოვარჯიშე, ასტროლოგი, სიცილის თერაპევტი, შოკოლადის ინჟინერი, ხანძრის მართვის ინსტრუქტორი და მუსიკათმცოდნე ჯანგო სულაძე.

გია სალაძე - რეჟისორი

(პარტერში ზის). სტოპ! არ გინდა ეს ჩამოთვლა. კომიკურია. (მსახიობ გოჩა მელიას მიმართავს). გოჩა სად არის? გოჩა!

(კულისებიდან შემოდის გოჩა მელია).

გოჩა მელია - მსახიობი

თუ ფაქტები ეწინააღმდეგება თეორიას, მით უარესი ფაქტებისთვის.

გია სალაძე - რეჟისორი

(მსახიობ გოჩა მელიას). რა გაყვირებს? გოჩა, შენ შემოგაქვს ეს ხმალი. ქალბატონო ჯანგო, მიეცით გოჩას ხმალი. ანი, ეს ჩამოთვლა გამოტოვე, მოფარიკავე და ეგეთები და პირდაპირ დაიწყე. სამი, ორი...

(მსახიობი გოჩა მელია ჯანგოს კატანას გამოართმევს და კულისებში გადის. სცენა თავიდან იწყება).

ანი სულაძე - მსახიობი

ახლა კი, ალბერტ სულაძე წარმოგიდგენთ ილეთს, სადაც ადამიანი საკუთარ გულს ისე ამოიღებს, რომ ერთ წვეთი სისხლი არ დაიღვრება.

გია სალაძე - რეჟისორი

გოჩა, შემოდი!

(სცენაზე შემოდის გოჩა მელია, ხელში კატანა უჭირავს).

გოჩა მელია - მსახიობი

(ჩურჩულებს). თუ ფაქტები ეწინააღმდეგება თეორიას, მით უარესი ფაქტებისთვის.

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება. მსახიობ გოჩა მელიას). ცოტა ხმამაღლა!

ანი სულაძე - მსახიობი

ყურადღებით იყავით, სუსტი ნერვების მქონე პირები, ბავშვები, ქალები და მოხუცები გთხოვთ მოერიდოთ ამ სანახაობას, რამე თუ, თქვენ დღეს ისეთი შოუს მომსწრენი გახდებით...

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). გოჩა, ალბერტთან მიდი!

(მსახიობი გოჩა მელია რეჟისორის დავალებებს ასრულებს).

გოჩა მელია - მსახიობი

(ხმამაღლა). თუ ფაქტები ეწინააღმდეგება თეორიას, მით უარესი ფაქტებისთვის.

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). გოჩა, ტექსტი აქ აღარ გინდა!

ანი სულაძე - მსახიობი

(განაგრძობს). ...რომელიც კაცობრიობას არ ახსოვს. ალბერტ სულაძე ამ ნომერს წელიწადში ერთხელ ასრულებს, რადგან შემდეგ, თერთმეტ თვიანი სარეაბილიტაციო პერიოდია საჭირო.

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). გოჩა, წინ გამოდი, მაყურებელს აჩვენე!

(მსახიობი გოჩა მელის ლაპარაკის დაწყებას აპირებს).

გია სალაძე - რეჟისორი

(ერთვება). გოჩა, ხმა!

ანი სულაძე - მსახიობი

ეს კი, იაპონური კატანაა, რომელიც გოჩა მელიას უჭირავს. სწორედ ამ კატანას საშუალებით სხეულზე ნაკვეთი ისე სრულდება, რომ ადამიანმა ტკივილი არ იგრძნოს. და რაც მთავარია, სხეულიდან ერთი წვეთი სისხლიც კი არ იღვრება.

(პარალელურად რეჟისორი სცენაზე ადის, მწერალთან მიდის. ჩუმად ესაუბრება. ანის ანიშნებს, რომ არ გაჩერდეს).

ანი სულაძე - მსახიობი

(განაგრძობს). ...გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ხელის მოძრაობას, რადგან აქ ყოველ დეტალს მნიშვნელობა აქვს. ტკივილის შეგრძნება ადამიანის თანდაყოლილი რეფლექსია, რომელიც ორგანიზმს ლუსტრაციაში აგდებს, ამ ნომრის შესასრულებლად კი, სხეულისა და ტვინის კონცენტრაცია საჭირო. მაშ ასე, ყველაფერი მზადაა საშიში ნომრის შესასრულებლად.

(მწერალი დგება, საწერ მაგიდას სცილდება და რკინის კონსტრუქციასთან მიდის. რეჟისორი ალბერტ და ჯანგო სულაძეებს რაღაცას გადაულაპარაკებს, ჯანგო სულაძე შეიცხადებს. რეჟისორი ჩუმად განაგრძობს ალბერტთან საუბარს. ეტყობა, რომ ალბერტი უარზეა. ჩუმ საუბარში ჯანგო სულაძეც ერთვება. შემდეგ ალბერტ და ჯანგო სალაძეები მწერალს ხელ მკლავით დააკავებენ).

ანი სულაძე - მსახიობი

(განაგრძობს). ...მწერალი მზადაა. ახლა გოჩა მელია კატანას სწრაფად დაუსვამს, გადახსნის და დაველოდებით იმ წამს, როდესაც თვით მალხაზო ქუმსალია საკუთარ გულს ამოიღებს. ყურადღებით...

გია სალაძე - რეჟისორი

გოჩა, ანის კატანა მიეცი. ანი, ბოლო ტექსტი თავიდან.

გოჩა მელია - მსახიობი

(მსახიობ ანი სულაძეს კატანას აწვდის. ხმამაღლა). თუ ფაქტები ეწინააღმდეგება თეორიას, მით უარესი ფაქტებისთვის.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(მომაკვდავ მწერალს). ასეთ დროს, გახსენდება ყველაზე ამაღელვებელი, ყველაზე შთამბეჭდავი მომენტები შენი ცხოვრებიდან.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(მომაკვდავ მწერალს). შენ ყოველთვის დარჩები მაყურებლის გულებში, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი აღარ იქნები.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

(მომაკვდავ მწერალს). და შენი შთამომავლობა იტყვის, რომ წერდი იმიტომ, რომ დიდ გულის კაცი იყავი.

ჯანგო სულაძე - ანის დედა

(მომაკვდავ მწერალს). და მოკვდი იმიტომ, რომ უგულო გახდი.

(ანი სულაძე მალხაზო ქუმსალიას მკერდზე კატანას დაუსვამს და გულ-მკერდს გადაუხსნის. მწერალი ხელს საკუთარ გულმკერდში ჩაყოფს და გულს ამოიღებს. უსისხლო, წითელ მფეთქავ გულს უყურებს, აკვირდება).

მწერალი - მალხაზო ქუმსალია

(ავანსცენაზე გამოდის. მისი გულის ადგილას სიცარიელეა). ერთმანეთს ვაქებთ და მერე, ზურგს უკან ვაგინებთ ერთმანეთს, ერთი სული გვაქვს ვინმეს ფეხი დაუცდეს, რომ გადავუაროთ და უკანმოუხედავად გადავთელოთ. ერთმანეთზე ვწერთ პოსტებს, მერე, ფეისბუკზე ერთმანეთს ვბლოკავთ და შეხვედრისას ვითომც არაფერი, კეთილი ნაცნობებივით ერთმანეთს ვესალმებით. ერთმანეთს ვუშლით ნერვს, მაგრამ პირში ერთმანეთს ვუცინით, ერთმანეთი გვძულს და ვამბობთ, რომ ვგიჟდებით ერთმანეთზე, ერთმანეთის გვშურს და არ ვაღიარებთ. ზიზღში ვეჯიბრებით ერთმანეთს. ერთ წრეზე დავრბივართ და გვგონია, რომ მოჯადოებული წრიდან გავაღწევთ. (მსახიობებს მიმართავს). „საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე?“, ეს გინდათ ჩემგან.

(მწერალი გულს ანი სულაძეს აწვდის. ანი სულაძე წითელ მფეთქავ გულს ფრთხილად ჩამოართმევს და მომდევნო მონოლოგის დროს მაყურებელთან გადის, პარტერში ჩადის. მწერლის გული ისე მიაქვს, თითქოს მასში იყოს დამალული ქვეყნის საიდუმლო. მწერალი მკვდარი ეცემა).

ანი სულაძე - მსახიობი

მე მინდოდა, მსახიობი გამოვსულიყავი. მინდოდა დამემტკიცებინა ყველასთვის, რომ მე ყველა როლის თამაში შემიძლია. მინდოდა მეთამაშა ოფელია, სიკვდილის წინ რომ მეთქვა: *„ოჰ, რა ჭკუა-გონებას ეწია ბნელი! სასახლის თვალსა, ენამჭევრსა, ვაჟკაცობით სრულს, იმედსა და ვარდსა ამ მშვენიერ სახელმწიფოსას, სამაგალითოს ზნეობის ყოფაქცევისთვის!“* მაგრამ შენ ეს არ დაწერე!

კიდევ, მინდოდა პოლიტიკოსი გამოსულიყავი და ჩემი ქალურობით დამემტკიცებინა, რომ მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, დაცინვისა და მიუღებლობისა, მაინც შემიძლია კაცებს ტოლი არ დავუდო და დედის გინებით, ჩხუბით, წიხლებით და გამჭრიახობით ჩემი თანამოქალაქეები და ოჯახის წევრები გამეხარებინა, მაგრამ შენ არც ეს დაწერე!

კიდევ, მინდოდა ხელმოტეხილი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. მინდოდა დამემტკიცებინა ყველასთვის, რომ შემეძლო ვყოფილიყავი მარჯვენა ან მარცხენა გარემარბი, ან დაცვის ცენტრიდან შემეტია, ან საყრდენი ნახევარმცველი, ან ცრუ ცხრიანი და გოლები ისე გამეტანა, რომ ვერავინ მიმხვდარიყო, რომ გოლები გამქონდა. მე მინდოდა, ჩემი ხელმოტეხილობით დამემტკიცებინა, რომ მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, ხელში ყრუ ტკივილისა და თაბაშირის სამკლავურის შემაწუხებელი ერთფეროვნებისა ყველასთვის სიხარულის მოტანა შემეძლო. მაგრამ ამან, არც ეს დაწერა.

(ანი სულაძე პარტერში ფსიქოლოგ სულიკო აბასაშვილს მონახავს და გულს აწვდის). მე მინდოდა, ევროპელი გამოვსულიყავი და ასე გამეღო ევროპის კარი! ტკივილის, უხერხულობის და უიმედობის მიუხედავად მივაწვებოდი ამ კარს და ევროპაში ჯერ ჩემს ნათამაშებ როლს შევაგდებდი, შემდეგ პოლიტიკურ ალღოს შევყოფდი, შემდეგ მოხსნილ თაბაშირს, შევიდოდი და ვიტყოდი, რომ მე, რომელიც რეალურად, როლს დანატრებული მსახიობი ვარ, თეატრიდან თეატრში, სერიალიდან სერიალში, ფილმიდან ფილმში, ტელევიზიიდან ტელევიზიაში რომ დაეხეტება, მაინც შევძელი და გამოვედი მსახიობი ანი სულაძე.

(სულიკო აბასაშვილი გულს ჩამოართმევს და ხელჩანთაში ინახავს. მონოლოგის ბოლოს მსახიობს ფსიქოლოგი სცენაზე აჰყავს. სცენაზე გარდაცვლილი მწერლის პიესის ყველა პერსონაჟი დგას. (გარდა გამომძიებლის და კრიმინალისტისა. ისინი ოდნავ მოგვიანებით შემოვლენ.) პერსონაჟები გარდაცვლილი მწერლის გარშემო იკრიბებიან).

სულიკო აბასაშვილი - ფსიქოლოგი

თეატრში ვერ წამოვსულვარ... დაქალებთან ერთად... რამდენი თეატრში მოვედი, იმდენი სცენაზე აღმოვჩნდი... ასე გადამიხადა სამაგიერო... რა ვთხოვე, როლი ვთხოვე... ერთი როლი... და ქვრივიც გამხადა... ეს როლი დამიწერა... ქვრივის როლი... მანამდე ფსიქოლოგი ვიყავი... მასზე წიგნი უნდა დამეწერა... წიგნი მწერალზე, რომელსაც საკუთარი პერსონაჟები აუჯანყდნენ... ახლა კი...

გოჩა მელია - მსახიობი

კარგი პიროვნება, კარგი მწერალი, კარგი ამხანაგი.

გია სალაძე - რეჟისორი

მე ამ პიესას მაინც დავდგამ. პირობას გაძლევ, მალხაზო.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

ნეტავ, როდის დაიკარგა თავის ნაწერში?

ჯანგო სულაძე - ანის დედა

ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ეს დეტექტივი რად უნდოდა, ვერ გავიგე.

ალბერტ სულაძე - ანის მამა

კარგი, ახლა, არ არის მაგის დრო.

სულიკო აბასაშვილი - ცოლი

(ანი სულაძეს). უყვარდი, ძალიან.

ანი სულაძე - მსახიობი

არ სჯეროდა, რომ ცოცხალი ვარ. სულ თავის თავს ებრძოდა, საწყალი.

(ანი სულაძე მსახიობ გოჩა მელიასთან მიდის, ხელ-მკლავს მოხვევს და მიეკვრება. გოჩა მელია დაძაბული ანის მშობლებს გახედავს. ანის მშობლები თავის მხრივ დაიძაბებიან. ალბერტ სულაძე, თითქოს რაღაცას დააპირებს, მაგრამ მეუღლეს სცენიდან გაჰყავს. მათ სხვებიც მიჰყვებიან.

მწერლის მაგიდაზე კალამი წერას განაგრძობს. ისე, როგორც ეს პიესის დასაწყისში იყო. კალამი ფურცელზე დარბის. განათებული რჩება კალამი და მკვდარი მწერალი.

აი, ახლა კი, სცენაზე შემოდიან გამომძიებელი თენგულა ასათიანი და კრიმინალისტი ბისმარკ კაპანაძე. მკვდარ მწერალთან მიდიან, აკვირდებიან. კრიმინალისტი ჩვეულებისამებრ ფოტოებს იღებს. გამომძიებელი გვამს „სწავლობს“, ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავს).

კრიმინალისტი - ბისმარკ კაპანაძე

ერთი ოცნება მაქვს.

გამომძიებელი - თენგულა ასათიანი

(მკვდარ მწერალს უყურებს). მოკლულია...

კრიმინალისტი - ბისმარკ კაპანაძე

პერსონალური გამოფენის გაკეთება მინდა... სასტიკი, მახინჯი, ტკივილისგან დატანჯული სახეების გამოფენა. ვისაც ყოველ დღე ვხედავ... მინდა დავამტკიცო, რომ კრიმინალისტიკა და ხელოვნება მომიჯნავე დარგებია.

გამომძიებელი - თენგულა ასათიანი

არ უნდა გაგიჭირდეს.

კრიმინალისტი - ბისმარკ კაპანაძე

სტატისტიკის მიხედვით, ხელოვანთა სამოცდათექვსმეტი პროცენტი კრიმინალისკენაა მიდრეკილი.

გამომძიებელი - თენგულა ასათიანი

სასტიკები ვართ, ნამდვილად. (გარდაცვლილის ჯიბიდან მობილურს ამოიღებს. მობილურის ეკრანს უყურებს).

კრიმინალისტი - ბისმარკ კაპანაძე

ჩემი ოცნებაა კრიმინალისტიკა ახალ საფეხურზე ავიყვანო.

გამომძიებელი ავანსცენაზე გამოდის. მობილურის ეკრანს უყურებს. მისი მოძრაობა უყურადღებოდ არც კრიმინალისტ ბისმარკ კაპანაძეს დარჩება და გვერდში ამოუდგება. მობილურის ეკრანს ერთად აკვირდებიან. გამომძიებელი ტელეფონის ეკრანს თითს აჭერს და რეკავს. დარბაზში, პარტერიდან გვესმის ჯერ ერთი ტელეფონის ზარის ხმა, შემდეგ მეორე, მესამე და ა.შ. ბოლოს გვესმის ათობით ტელეფონის დარეკვის ხმა. კრიმინალისტი დარბაზს ფოტოს უღებს. სცენა ბნელდება.

P.S. ტაში. „პაკლონის“ დროს მსახიობები სცენაზე რიგრიგობით გამოდიან და მაყურებელს ქედს უხრიან. მაყურებელი ტაშს უკრავს. ისმის მუსიკა. სცენაზე ყველა მსახიობია მწერალ მალხაზო ქუმსალიას გარდა. იგი დარბაზში ზის, როგორც მაყურებელი. მსახიობები თვალით მწერალს ეძებენ. ანი სულაძის როლის შემსრულებელი მსახიობი მწერალს პარტერში შეამჩნევს და ტაშით იხმობს. ანი სულაძეს სხვა მსახიობებიც აჰყვებიან და ყველნი ერთად მწერალ მალხაზო ქუმსალიას სცენაზე ეპატიჟებიან. ხანგრძლივი ხვეწნის შემდეგ, მწერალი მალხაზო ქუმსალია სცენაზე ადის და სხვებთან ერთად მაყურებელს ქედს უხრის. ფარდა.

დასასრული 2025